# სახალხო გაზეთი

№ 811 ხუთშაბათი, 31 იანვარი 1913 წ. № 811

**განცხადების ფასი:** ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 20 კ., უკან 10 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო-ჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა ,,შრომა''-ში, მუხრანის ქუჩა, და ღირს 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და მ. მეტცლ და ამხ.-ის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება ,,სახალხო გაზეთი''-ს რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე. საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ-დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახ. № 6. ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისთვის: ტფილისი, ქართული ,,სახალხო გაზეთი'' 190.

ტელეფონი № 12-29

გაზეთის ფასი წელიწ. 8 მ. 50 კ. ცალკე № ყველგან 5 კ.
,, ,, თვეში — 75 კაპ. დამატებიანი 7 კ.

## ყოველ-დღიური სა პოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა.



გამოვიდა გასასყიდად ახალი
# პაპიროსები „მაიაკ“ კომპანიის ამხ-სა.
25 ც.—15 კ.—10 ც. 6 კ. ქ. ტფილისი. 1574



## სახალხო გაზეთი
ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო

მიიღება ხელის მოწერა 1913 წლისათვის.
ყოველ-დღიურ გამოცემის გარდა 1913 წელსაც გაზეთს ექნება
### სურათებიანი დამატება
(კვირაობით)
**პრემიად** 1913 წლის ხელის მომწერთ მიეცემათ **ორი წიგნი**

1) **უცხოეთის მწერლები** (400 გვ.) ამ კრებულში მოთავსებული იქნება თხზულებები შემდეგ გამოჩენილ მწერლებისა—**კნუტ ჰამსუნისა, არტურ შნიცლერისა, ჰენრიკ სენკევიჩისა** და სხვათა.
2) **ქართველი ერის ისტორია**, პროფ. ივ. ალ. ჯავახიშვილისა. პირველი და მეორე ტომი ერთს წიგნად, სურათებითა და ძველი საქართველოს რუკით.

**გაზეთის ფასი წელიწადში 8 მ. და 50 კ.** ცალკე № შაურად. დამატებიანი 7 კაპ.

| 12 თ. | 11 თ. | 10 თ. | 9 თ. | 8 თ. | 7 თ. | 6 თ. | 5 თ. | 4 თ. | 3 თ. | 2 თ. | 1 თ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 8.50 | 8. | 7.50 | 6.75 | 6. | 5.25 | 4.50 | 3.75 | 3. | 2.25 | 1.50 | .75 |

საზღვარ-გარედ თვეში ზედ-მეტი 50 კაპ.

**ადრესის გამოცვლელი ფასი** ტფილისისა ტფილისს გარედ, ან ტფილისის გარეთისა ისევ ტფილისის გარეთისაზე. **40 კაპ.**

დანაკარგის შემთხვევაში უფასოდ.

**ათი შაური** უნდა გადიხადოს კიდევ იმ ხელის მომწერმა, რომელსაც სურს მიიღოს ფოსტით ორი საპრემიო წიგნი. ვინც რედაქციის კანტორაში მიიღებს პრემიას, იმას ეს ფული არ გადახდება.

**წლიურ ხელის მომწერთ გაზეთის ფასი 8 მან. 50 კაპ. შეუძლიანთ გადაიხადონ. ნაწილობით** მხოლოდ შემდეგ ვადებზე უნდა იყოს გადახდილი: ხელის-მოწერისათანავე 3 მ.; 1 აპრილამდე 2 მ.; 1 თიბათვემდე 2 მ. და დანარჩენი 1 მ. 50 კ. 1 ენკენისთვემდე.

გაზეთის მოწერა შეიძლება მხოლოდ თვის 1 რიცხვიდან, მხოლოდ სრული თვეებით და არა უმეტეს 1913 წლის გასულისა.

**ხელის მოწერა მიიღება:**
1) **,,სახალხო გაზეთი''-ს კანტორაში,** სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახლი, შესავალი ეზოდან).
2) **ქ. შ. წ.-კ. ს. მთავარ გამგეობის წიგნის მაღაზიაში,**
3) **ფოსტით:** Тифлисъ, газ. „Сахалхо Газети“. П. Ящ. 190.


28 იანვარს, **ახალციხეში**, ხანგრძლივი ავადმყოფობის (გულის სიგანიერისა) შემდეგ გარდაიცვალა **ქართველი კათოლიკე**

## მღვდელი მიხეილ ვარძიელი

(ახალციხის რაიონის კათოლიკეთა დეკანი), რასაც გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა, ნაცნობთა და მეგობართ განსვენებულის **მეუღლე ელისაბედი** (ფოფოდია), **შვილები: იაკობ, პეტრე და იუზა მიხეილის ძენი, ასული ბარბარე და სიძე პავლე გრიგორის ძე მეტრეველი, დეიდაშვილი სტეფანე პავლეს ძე გოზალოვი მეუღლითურთ და ქვისლი ივანე პავლეს ძე მერაბაშვილი მეუღლითურთ.** ცხედარის გამოსვენება მოხდება ხუთშაბათს, 31 იანვარს წმ. იოანე ნათლის-მცემლის ეკლესიაში. 1043

ღრმა მწუხარებასა შინა მყოფნი: **ქვრივი მარიამ ბესარიონის ასული და აზნ. გიორგი კონსტანტინეს ძე ნანეიშვილები, კნეინა ანნა კონსტანტინეს ასული მიქელაძისა, ეკატერინა, ტატიანა და ნადეჟდა ბესარიონის ასულნი დავიდოვები** გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა, ნაცნობთა და მეგობართ, რომ გარდაიცვალა პირველის საყვარელი და უძვირფასესი ქმარი, მეორისა და მესამისა—დაუვიწყარი ძმა და დანარჩენთა—მარად სახსოვარი სიძე, ნადვორნი სოვეტნიკი

## ალექსანდრე კონსტანტინეს ძე ნანეიშვილი.

ცხედარს გამოასვენებენ საკუთარი სახლიდან (მთაწმინდა, ველის ქუჩა, № 22) შაბათს, დილით ქვაშვეთის ტაძარში და წირვის შემდეგ გაასვენებენ და დაკრძალავენ კუკიის სასაფლაოზე. 85

**თ-დი გიორგი დავითის ძე წერეთელი და კონა თამარ გიორგის ასული ამირაჯიბისა** გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ 27 ამა იანვარს დაბა საჩხერეში გარდაიცვალა პირველის—უძვირფასესი მეუღლე და მეორისა—საყვარელი დედა

## კნ. სადიკო მელქისედეკის ასული წერეთლისა.

პანაშვიდები საჩხერეში, საკუთარ სახლში. ყოველ დღე, შუადღის 12 საათ. და საღამოს 5 საათზე. დაკრძალვა შაბათს, 2 თებერვალს, დილის 10 საათზე საჩხერის წმ. ნინოს ეკლესიაში. 86


**დოქტორი მედიცინისა** ბერლინის უნივერს. **გ. გ. მეგრაბიანცი**
**წამლობა ჭლექისა**, ფილტვებისა, ძვლებისა, და სხვა ორგანოთა **ტუბერკულინ** შინაგან სნეულებით ავადმყ. წამლობა კიდევ რადიისა და ელექტრონის პრეპარატებით, იღებს ყოვ.-დღ. **ახალ ბინაზე** დილ. 9—12 ს. და საღამ. 5—7 საათ. ადრესი: **ხოლოდნაია** ქ. ბოჭორთვის ქ., № 23 (დანოვის ქ. **ტელეფ.** ქუთხე 7—28. 847


ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ 29 იანვარს ს. ხაშმში გარდაიცვალა

## სვიმონ ბესარიონის ძე (ბეროიჩი) ნაცვლიშვილი,

რასაც გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ განსვენებულის გულმოკლული **შვილი გიორგი მეუღლით, ასული ნინო და სიძე გიორგი ფირანის ძე ქოქრაშვილი.** მიცვალებულის გასვენება ეკლესიაში დანიშნულია შაბათს, 2 თებერვალს. დასაფლავება იმავე დღეს. 84


**ტელეფ. № 795.** **ქართული თეატრი** წარმოდ. № 47.

## ტასო აბაშიძის ბენეფისი.

**ხუთშ., 31 იანვ.,** ქართ. დრ. საზ. დას. მიერ **ტასო აბაშიძის საბენეფისოდ** წარმოდგ. იქნება ინგლისის გამოჩენილ მწერლის **ბერნარდ შოუს** პიესა

### კეისარი და კლეოპატრა,
დრამა 5 მოქ. და 6 სურათად, თარგმ. ვ. შალიკაშვილისა.

**კლეოპატრას** როლს შეასრულებს **ტასო აბაშიძე.**

განსაკუთრებით იმ პიესისათვის დამზადებულია **ახალი ტანისამოსები მ. მ. საფაროვ-აბაშიძის** ზედამხედველობით და **ახალი დეკორაციები** გ. ნალბაშვილის მიერ დამზად. მონაწილეობას მიიღებენ ქ-ნნი: აბაშიძე, ლეჟავა, ლოლუა, ჯავახიშვილი. ბ-ნნი: აბაშიძე, აბდუშელი, ალექსიძე, გედევანოვი, ზარდალიშვილი, მესხი, მატარაძე, ყიფიძე, სარაული, ციციშვილი. შალიკაშვილი, და შანშიაშვილი.

**დასაწყ. სად. 8 ს.** ადგილების ფასი საბენეფისოა.

1040 რეჟისორი **ვალ. შალიკაშვილი.** ქართ. დრ. საზ. ადმინისტრ.



**ქ. ი. ზუბალაშვილის სახელობის სახალხო სახლი**
**პარასკევს, 1 თებერვალს 1913 წ.**

## პირველი საჯარო სხდომა
**ქართული კულტურის მოყვარულთა საზოგადოებისა**

კრების საგანი: განსვენებულ პროფესორ ალექსანდრე სოლომონის ძის ხახანაშვილის საზოგადოებრივ-მეცნიერულ ღვაწლის გაცნობა.

**სხდომის გეგმა:** 1. თავმჯდომარის წინასწარი შენიშვნები. 2. მოხსენება დავით კასრაძისა: ალექსანდრე ხახანაშვილის ბიოგრაფია და მეცნიერული მოღვაწეობა. 3. მოხსენება ნიკოლოზ ჩიგოგიძისა: ა. ხახანაშვილი, როგორც საზოგადო მოღვაწე. 4. მოხსენება გიორგი ჟორდანიასი: ა. ხახანაშვილი, როგორც ადამიანი და მასწავლებელი. 5. ლექსები ა. ხახანაშვილის შესახებ: ს. აბაშელისა, ბ. ახოსპირელისა, ი. გრიშაშვილისა, ი. ევდოშვილისა, პ. ლეჟავასი, ნ. მაღრაძისა, ნ. ჩხიკვაძისა, გ. ქუჩიშვილისა, თურდოსპირელისა. უკანასკნელ ლექსს წაიკითხავს მსახიობი ქ-ნი **ნ. დავითაშვილი.** დანარჩენ ლექსებს წაიკითხავენ თვით ავტორები. **დასაწყისი საღამოს 8½ საათზე.**

ადგილების ფასი: 1 მ 50 კ.-დან 5 კ.-მდე. ბილეთები იყიდება საზოგადოების კანცელარიაში (ტურგენევის ქ., სახლი № 2, ბინა ჟორდანიასი). სხდომის დღეს კი სახალხო სახლის კასაში დილის 10 საათიდან მთელი დღე. 5 იანვრისათვის აღებული ბილეთები 1 თებერვალსაც გამოდგება. 1039.



## ქ. შ. წერა-კითხ. გამ. საზოგ. წიგნის მაღაზიაში
**ისყიდება ჩვენი პოეტების პოემები და ლექსები:**

| | |
|---|---|
| აბაშიძე გრ. . . . . . . . ფ. 60 კ. | თამარიანი, გუგუნავასი . . . . 50 „ |
| ბარათაშვილი ნ. . . . . . . „ 40 „ | ორბელიანი ვახტ. . . . . . . . 60 „ |
| ბესიკი. სიტყვ.-კაზმ. საზ. გამ. 1 მ.— | ორბელიანი გრ. რჩეული ლექს. . . . . . . . 20 „ |
| გურამიშვილი დ. „დავითიანი“ 1 მ.— | სილოვანის ლექსები 1878—1894. . 50 „ |
| გურიელი მამია . . . . . . . 1 მ.— | ცისკარი. რუხაძის ლექსები . . 25 „ |
| განდეგილის ლექსებ. . . . — 50 „ | შანშიაშვილი. შვების თავადი . 60 „ |
| დუტუ მეგრელი წ. I ლექსებ. 70 „ | ჭავჭავაძე ალ. ლექსები . . . . 30 „ |
| ერისთავი რაფ. წ. I . . . . . 1 მ.— | ჭავჭავაძე ილ. . . . . . . . . 27 „ |
| ევდოშვილი, ლექსები და პოემები . . . . 60 „ | წერეთელი აკაკი ტ. I . . . 1 მ.— |
| ვაჟა-ფშაველა . . . . . . . . 1 მ.— | — — ტ. II . . . 1 მ.— |
| ვეფხის ტყაოსანი ქართველიშვილის გამოც. 10 მ. 65 „ | — —ჩემი ნაწერ. ტ. I 75 „ |
| „ „ ქ. შ. წ. კ ს. გამ. 60 „ | — — იგავ-არაკნი . 50 „ |

**ადრესი:** Тифлисъ О-ва распр. грамотности срел. гр. нас. 1141



## მიიღება ხელის მოწერა 1913 წ.
ნახატებიან საყმაწვილო ჟურნალ
# „ნაკადული“-ზე.
**წელიწადი მეცხრე.**

გამოვა ჩვეულებრივი პროგრამით, საგანგებოდ არჩეულ სარედაქციო კომისიის ხელმძღვანელობით.

**ორი გამოცემა:**

მცირე წლოვანთათვის 24 წიგნი
მოზრდილთათვის . . 12 წიგნი

ღირება წლიურად 5 მან., ნახევარი წლით 3 მან., ცალკ-ცალკე თვითო გამოცემა 3 მ., საზღვარ-გარედ 7 მ.

წლიური ხელის მომწერნი მიიღებენ **საჩუქრად ამერიკელ მწერალ ქალის პარიეტ ბიჩარ სტოუს რომანს ზანგთა განთავისუფლების დროიდან ✦ ,,ბიძია თომას ქოხი'', ✦** სრულ თარგმანს. წიგნში იქნება 40-ზე მეტი სურათი და ჩართული ექნება ავტორის სურათი და ბიოგრაფია. თარგმანის რედაქცია და ინგლისურ დედანთან შედარება იკისრა **ილია ნაკაშიძემ.** ჟურნალი ,,ნაკადული'' მცირე წლოვან და მოზრდილ. 1910 წ. ნება დართულია კავკასიის ოლქის სამოსწავლო მზრუნველისაგან ქართულ სკოლებში სახმარებლად. **ხელის მოწერა** შეიძლება **ტფილისში**—,,ნაკადულის'' რედაქციაში, ზუბალაშვილის სახ., გოლოვინის პრ. 8, და წერა-კითხვის საზოგადოების მაღაზიაში, სასახლის ქუჩა.

რედაქტორი **ნინო ნაკაშიძე.** გამომცემელი **თ-დ პავლე თუმანიშვილი**



## გამოსულია და იყიდება
## ი. გედევანიშვილის პიესა
# „გამცემი“
**დრამა 3 მოქმედ. ფასი 25 კ.**



**ქარხნის მარკა**
## კონიაკი და ლიქორი
## ს. ს. შამრიარსკისა
ტფილის ელისაბედის ქუჩა № 166. 1570


## ტფილისის ქალაქის გამგეობა

ამით აცხადებს, რომ თებერვლის 5-ს, შუადღის 12 საათზე დანიშნულია

## საჯარო ვაჭრობა
ქალაქის სხვა და სხვა ნაწილში
## ფეხსაცმელების საწმენდ ადგილების იჯარით გასაცემად.

ასეთ ადგილების სიისა და საიჯარო პირობების განხილვა შეიძლება ქალაქის გამგეობის საიჯარო განყოფილებაში, ყოველ დღე, კვირა-უქმის გარდა. 1041


## ტფილისის კერძო სამკურნალო

**ახლად გადაკეთების შემდეგ, ავადმყოფები მიიღებიან ახალი საკუთ. სახლი, № 7, მიხეილის პროსპექტისა და ბებუთოვის ქუჩის კუთხე.**
**ტელეფონი № 590.**

**სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით, ცალკე ნომრებით და საერთო ოთახები განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.**

მწოლიარე ავადმყოფთა მიღება შეიძლება ყოველ წამს, გარეშე მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი ექიმები-სპეციალისტები:

| | |
|---|---|
| შინაგანი სნეულებანი. | **დავითიანი რ. ხ.** (ყოველ დღე) 1—2. **მანსვეტაშვილი გ. მ.** (ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ.) 2—3. **მაღალაშვილი გ. გ.** (სამშაბ. და შაბათობით) 10—12. **მიქელაძე შ. ა.** (ყოველ დღე) 12½—1. **ფედოროვიჩი ე. გ.** (ყოველ დღე, გარდა ოთხშ. ბ. და კვირისა) 12—1. |
| ქირურგ.-ქირურგიული სნეულებანი. | **მარკევიჩი ვ. ლ.** კონსულტანტი (ყოველ-დღე 11½—12½.) **მელიქიშვილი ნ. მ.** (ყოველ დღე) 10—1. **ფირალიშვილი რ. მ.** (ყოველ დღე) 12—1. **ექ. ქალი ენგელ-მელიქ-შახნაზაროვისა ე. ა.** (სამშ. ხუთ. შაბ.) 11½ 12½. |
| ქალთა და საშვილოსნოს სნეულებანი. | **ექიმი-ქალი ვერბიცკა-ფირალიშვილისა ლ.** (ყოველ დღე) 11—12. **თაკაიშვილი ა. ე.** (ყოველ დღე) 1—2. **მელიქიშვილი ნ. მ.** (ყოველ დღე) 10—1. **ხულპკოვი ა. ი.** (ყოველ დღე) 12—1. |
| ბავშვთა სნეულებ. | **ექ. ქალი ბაქრაძე-დედაბრიშვილისა** (ყოვ. დღე, გარდა ოთხ.) 1—1½ ს. **მიქელაძე შ. ა.** (ყოველ დღე) 12½—1. **ფედოროვიჩი ე. გ.** (ყოველ დღე გარდა ოთხშაბ. და კვირისა) 12—1. |
| ნერვ. სნეულ. და ელექტ. | **გედევანიშვილი მ. ა.** (შაბათობით) 10½—11. **დავითიანი რ. ხ.** (ყოველ დღე) 1—2. **ფონდოევი, გ. ს.** (ყოველ-დღე) 1—2 ს. |
| ყურ. ყელ. და ცხვ. | **ათენიანცი ნ. ა.** (ყოველ დღე) 12½—1½. **ტრემბოვსკი ნ. ს.** (ყოველ დღე) 1½—2. |
| თვალის სნეულ. | **მუსხელიშვილი გ. ს.** (ორშაბათობით, ოთხშაბ. და პარასკ. 2—2½. |
| კან. და ვენ. სნ. | **დიასამიძე ა. ნ.** (ყოველ დღე) 11½—12½. |

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი სამიკროქიმიო და საბაქტერიოლოგიო ლაბორატორია. სისხლის გასინჯვა, ათაშანგ. **Wassermann**-რეაქციისათვის 50 კ., საწოლები 2 მ. დაწყებული. ცალკე ოთახი 5 მანეთიდან. მშობიარობა 10 დღე წოლით ღირს 40 მ. ოპერაციები, კონსილიუმი, შარდის ბუშტისა და მილების კატეტერიზაცია; ,,606'' 914 და **წამლის შეშხაპუნება,** ელექტრონით წამლ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შეთანხმებისამებრ. 1135



## საბურთალოზე

**მშვენიერ ალაგას,** ახლად აშენებულ ეკლესიისა და დიდუბის მომავალ ხიდის მახლობლად დაიჭრა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაჭრებად ხელმისაწვდენელ ფასებში.

მსურველთ შეუძლიანთ მიმართონ ოლღას ქუჩაზე, სახლი № 6, სოლომიან ივანეს ძე **თაქთაქიშვილს,** დილის 8 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. საღამოს 5 საათიდან 8 საათამდე. უმორჩილესად ვთხოვთ მიწის მყიდველებს, რომ **თავის დროზე შემოიტანონ დარჩენილი ვალი.** თანახმად ჩვენგან მიცემულ კვიტანციისა. წ. 1020



## ექიმი ნ. ნ. ჯავახიშვილი,
**ორდინატორად ნამყოფი** კიევის ნერვების კლინიკაში. იღებს ნერვებით ავადმყოფებს 5—6 საათამდე. ჩერქეზიშვილის ქუჩა, № 12.
**იქვე გამართულია ელექტრონის სამკურნალო კაბინეტი.** 67



**ელექტრონისა და რენტგენის სამკურნალო**
## მიხ. გედევანიშვილისა
ავადმყოფებს იღებს ყოველ-დღე დილ. 12—1 ს., საღამოს 6—7 ს., **გაშინჯვა და გადაღება** რენტგენის სხივებით. ვერა, ყორღანოვის ქ. № 20. წ. 122



## ექიმი ი. ი. ბერიშვილი
სწამლობს **საშარდე ორგანოთა, ათაშანგისა და კანის** ავადმყ.; **ვასსერმანის** რეაქციით იკვლ. ათაშანგ. შოწამლ. სისხლს. მიღება ნაშუადღ. 3—5½ ს. **ელისაბედ.** ქ., № 94, კიროჩნი ქუჩის ახლო, საფოსტო განყოფ. პირდაპირ 102



## ექიმი ალ. სოლოლაშვილი
იღებს ავადმყოფებს 9—2 საათ. და 5—6 საათ. გოლოვინის პრ. № 12. 1334



## ექიმი ა. ნ. დიასამიძე
კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოვ.-დღე ნაშუადღ. 2—3 ს. საღამ. 6—7 ს. ხუთშაბ. მხოლოდ დილ. 8—9 ს. კვირ. ავადმყ. არ იღება. მოსკოვის ქუჩა № 3 ს. ბაბიშვილისა



## ექიმი კბილისა ნინო რცხილაძე
იღებს დილით 9—2 ს. სალ. 5—7 ს. ოლღას ქუჩის შესახვევი № 5, სახლი მაქარაშვილისა

# სამკურნალო

**სპეციალისტ-სამხედრო ექიმების**

გარეშე მოსიარულე ავადმყოფთათვის. ვანქ. დიდ ქ.-ზე, № 3, ალექსანდ. ბაღ. მახლობლად, ტელეფონი № 483.

**ფასი რჩევისათვის 50 კაპ.**

ავადმყოფთა მიღება $9^1/_2$-დან 5 ს.-დე.

**ასპისოვი.** ცხვირ., ყელ. და ყურისა. ყოველ-დღე. 1—2 საათამდე.

**არგუთინსკი,** შინაგ., ბავშვ. ყ.-დღ. 10 ს $^1/_2$ ს.

**ახვლედიანი** შინაგან სნეულ. საბავშ. ყოველ დღე საღამოს 3—4 ს.

**ბოჟოვსკი.** შინაგ. საბავშ. ორშაბ. ოთხ შაბ. პარასკევ. სადამ. 4—5 ს.

**ნოვიცკი.** ქალთა ავად., ყ.-დ. 1—2 ს,

**კალამკაროვი.** ქალ. ავად. ყ.-დღ. 12—1 სათ.

**თეთრაძე.** სიფ., ვენერ., კან. ყ.-დ.—3 ს.

**ჩუდნოვსკი ი.** ნერვ., სულ., ელექტრო-ტერაპია, ყ.-დღე გარდა კ.-უქმისა $1^1/_2$—$12^1/_2$

**რუდენკო.** შინაგ. ავად. კონსულტანტი ხუთშ., კვ. 3—4 ს.

**ვესელოვზოროვი** ქირურგ. ავად. ყოველ დღე, გარდა კვირ. დღ., 3—4 საათ.

**ერმოლაევი**—ბავშვ., შინაგან. ყ.-დღ. 1-2 ს.

**იოსელიანისა** ქალ. ავად., ორშ. ოთხშ., პარასკ., კვირ 11—12 საათ.

**ბაგდოევისა,** კბილ. ყ.-დღე 3—5 ს.

**ლიმონი.** კბილ. ყ.-დღ. 11—12 ს.

**შამაში,** ქირურგ. ავადმყ. ყ.-დღ., კვ. გარდა $1^1/_2$ $2^1/_2$ ს.

**გ. ნ. გეინაცი**—თვალის ავადმყ. ორშაბ., ოთხშ., პარასკ. სად. 4—5 ს.

**ა. ა ხოდნევი**—თვალ. ავად. სამშ, ხუთშ., შაბ., კვ., სად. 4—5 ს.

**კუნთებში შეუშხაპუნებენ და ძარღვებში შეუშვებენ „606“-ს**

**საღამოს 5—7 საათამდე.**

კონსულტანტი ხირურგ. ავადმყ. დამსახურ. [illegible] 366.

**მემი** ვ. ა. მიქელაძე [illegible]

## ახალი ამბავი

### ტფილისი

✦ **ქალაქის ექიმების სამუშაო.** [illegible] დადება მისცა ახლად მიღებულ ექიმებს: ბაბალოვს, ტურბოვიჩს, მელიქ-შახნაზაროვს, ტერ-ნიკოღოზოვს და ხატისოვს, 1 თებერვლიდან თავის მოვალეობის აღსრულებას შეუდგნენ. ექიმები: შ. მიქელაძე და კაკალიშვილი თანამდებობის აღსრულებას უნდა შეუდგნენ ზუბალაშვილის სახელობის საბავშვო საავადმყოფოს გახსნის შემდეგ, რომელიც 1 ივნისისათვის არის დანიშნული.

✦ **პოეტი ი. ევდოშვილი** „ჩვენი დროების“ ფურცლებზე აცხადებს, რომ დასახელებულ გაზეთში იგი აღარა თანამშრომლობს იანვრის ოციდან.

✦ **კავკასიის სამთა-მადნო გამგეობას** 1912 წელს შემოსვლია სპილენძზე დადებულ ბაჟიდან—745,589 მან. 7 კაპ., მარილის მადნებიდან—71,733 მ. 46 კ., ნავთიან ადგილებზე გაწერილ ბაჟიდან—136,655 მ. 2 კაპ., ნავთიან ადგილების საიჯარო—8,428,635 მან. 39 კ. ნავთის მაძებართაგან—50,573 მ. 60 კ. და სხვა. სულ მთელი წლის შემოსავალი უდრის 8,952,894 მან. 32 კაპ. 1911 წელს კი ჰქონია შემოსავალი მხოლოდ—5,840,001 მ. 24 კ. ე. ი. 3,112,893 მ. 8 კ. ნაკლები.

✦ **მიხეილის საავადმყოფოში** 1912 წლის განმავლობაში წოლილა 3,188 ავადმყოფი; ამათგან განკურნულა და საავადმყოფოდან გამოწერილა 2,701 კაცი. გარდაცვლილა: საერთო განყოფილებაში—457 და საფსიხიატრო განყოფილებაში—24.

✦ **ქალაქის საავადმყოფო სიფილისტიანთათვის.** 1912 წ. ამ საავადმყოფოში წოლილა 370 კაცი, 240 ქალი. გამოწერილა 363 კაცი, 228 ქალი. გარდაცვლილა 2 კაცი, 2 ქალი. სნეულნი ასე ნაწილდებიან: მუშა 84, ხელოსანი 32, მოსამსახურე 12, [illegible]

✦ **საბალოსნო სკოლიდან** სწავლის ფულის შეუტანლობისათვის 40 მოწაფე დაუთხოვნიათ. ამ სასწავლებელში სულ 80 მოწაფეა. მომეტებულად ქართველები. გამორიცხულნიც სულ ქართველები არიან. („კავკ.“).

✦ **მიხეილის საავადმყოფოს** გასაფართოვებლად, საგანგებო კომისიის ვარაუდით 300,000 მანეთია საჭირო.

✦ **ცირკი.** დიდუბეში, იქ, სადაც კავკასიური ჰიდაობა იმართებოდა ხოლმე, ი. სანთრუსოვი აგებს საზაფხულო დ საზამთრო ცირკის შენობას, რომელიც თებერვალში დასრულდება.

✦ გუშინ კავკასიის სასოფლო სამეურნეო საზოგადოების წევრებმა და სხვა მიწვეულმა პირებმა დაათვალიერეს და სცადეს ბ-ნ აცხანაშვილის მიერ გამოგონილი **მექანიკურ-ჰიგიენური ვარცლი.**

✦ **ტფ. საბოტანიკო ბაღმა** ყარაიაზის განყოფილება წელს ბევრად გააფართოვა და გაამშვენიერა: მიწები დაგეგმა, გზები გაიყვანა, სარცელი ბოსტნები გააშენა, სარწყავი არხი შეაკეთა და სხვა.

✦ **საბირჟო ცნობები.** 30 იანვარს შეთანხმება არ მოხდა. პროცენტთან ქაღალდების ფასი შემდეგია: ტფ. ქალაქის საკრედიტო საზოგადოების 5% ობლიგაციებისა: აფასებენ—85 მან. 50 კ., აძლევენ—85 მან.; ტფ. სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის 5% გირავნობის ფურცლებისა: აფასებენ—82 მან. 75 კ., აძლევენ—82 მან. 25 კ. და ქუთაისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო 5% გირავნობის ფურცლებისა: აფასებენ—78 მან. 50 მ. აძლევენ—77 მან. 30 კაპ.

✦ **საზოგადო განათლების კურსები,** რომელიც 14 იანვარს გახსნა სკოლის გარეშე განათლების გამავრცელებელმა საზოგადოებამ, სამის განყოფილებისაგან შესდგება. პირველ განყოფილებაზე დღემდე ჩაეწერა 91 კაცი, დაიარება—26; მეორე განყოფილებაში ჩაეწერა—77 კაცი, დაიარება—33 და მესამე განყოფილებაზე ჩაეწერა—64 კაცი, დაიარება—20. მსმენელთა შორის ჯარის-კაცნიც არიან. კურსები არსებობს ჩერქეზიშვილის ქუჩაზე, სახლი № 29. სწავლა სწარმოებს საღამოს 6-დან 9 საათზე.

✦ **ავტომობილები.** ქალაქის გამგეობამ დაადგინა, შეიმუშავოს სავალდებულო დადგენილებანი ავტომობილთა შესახებ. ნიხრი ასე განსაზღვრა: ავტომობილით გავლაში მგზავრებმა უნდა გადაიხადონ პირველ ერთს ვერსზე 50 კაპ., ხოლო შემდეგ თითეულ ვერსის გავლაში ორ-ორი შაური უნდა დაუმატოს ამ 50 კაპეიკს. ავტომობილის გაჩერებაში უნდა გადაიხადონ: 2 წამში—5 კაპ., ხოლო საათში—მანეთ ნახევარი. გამგეობამ ამას გარდა დაადგინა, ამ დღეებში ავტომობილების პატრონთა საზოგადო კრება მოიწვიოს საკითხის საბოლოოდ გადასაწყვეტად.

## საზოგადოებანი და კრებები.

✦ დღეს დანიშნულია **კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების** საზოგადო კრება. ი. ი. ჯაბადარი მოხსენებას წაიკითხავს ტფილისის საბაღოსნო სკოლის რეორგანიზაციაზე.

✦ **ჭლექთან მებრძოლ კავკასიის საზოგადოების** გამგეობას დღეს კრება ექნება „თეთრის ყვავილის“ დღესასწაულის მოწყობის თაობაზე მოსალაპარაკებლად.

## ქუთაისი

✦ 28 იანვარს ქუთაისში **სახალხო უნივერსიტეტის** გამგეობის კრებამ დაადგინა კვირას, 3 თებერვალს, გამართოს ლექციები და გამოიწეროს ბუნდოვანი ფარანი, ღირებული 500-ს მანეთად.

✦ 10 თებერვალს, ტფილისში, **ვლ. ალექსი-მესხიშვილის იუბილეიზე** დასასწრებლად ქუთაისის სახალხო უნივერსიტეტი წარმომადგენელს ჰგზავნის.

✦ სახალხო უნივერსიტეტის **საღამოს კურსებზე** ჯერ-ჯერობით ჩაეწერა 160 კაცი.

✦ გურიის მოძრაობაში მონაწილეობისათვის ციმბირში გადასახლებული **ბენია ჩხიკვიშვილი** ავად გამხდარა.

✦ ერთ ჯგუფს განუზრახავს ქუთაისში დაარსოს **საკომერციო სასწავლებელი.** ამის თაობაზე ამ დღეებში მოხდება კრება ქუთათურ ვაჭართა და ხმოსანთა.

✦ 27 იანვარს სადგურ ბელაგორში მატარებელზე შეხტომის დროს **მატარებელმა გასრისა** აზ. ავქსენტი კიკნაძე.

✦ როგორც ვიცით, თ.-აზნაურთა კრებამ დაადგინა უმაღლესად ნაბოძები ფული, რომელიც სტიპენდიებად რიგდებოდა, ქუთაისის ქართული გიმნაზიის შესანახად გადადებულიყო. ეს დადგენილება მეფის მოადგილეს უკვე დაუმტკიცებია.

✦ კნ. სოფიო მიქელაძისამ ჩვეულებრივად შესწირა ქუთაის. ქართ. გიმნაზიის ღარიბ მოწაფეთა დასახმარებლად ასი მანეთი.

✦ სულით ავათმყოფი პოლიტიკური პატიმარი ევგენი დვალი ფსიხიატრულ საავათმყოფოში მოათავსეს.

✦ იანვრის 21 ქ. კიევიდან ჩამოიყვანეს და დროებით ქუთ. საგუბ. ციხეში მოათავსეს გიორგი ძიგოშვილი, რომელსაც 12 წლის სასჯელი (კატორგა) უკვე მოუხდია კუნძულ სახალინზე, ამ ხნის განმავლობაში მას სასჯელი მანიფესტების ძალით შემცირებია, მაგრამ უსახსრობისა გამო სამშობლომდე) ვერ მოუღწევია. დიდის გაჭირვებით ქ. კიევამდე მოსულა, იქ ქუჩა-ქუჩა მათხოვრობა დაუწყვია, პოლიციას შეუპყრია, როგორც უბილეთო და ეტაპით სამშობლოში (დუშეთში) გზავნიან.

✦ ქუთაისის საგუბერნიო ციხეში ბიჭია მიქაბაძის თაოსნობით მგალობელთა გუნდი შემდგარა.

✦ მეფის მოადგილეს ოლქის მზრუნველისათვის სწავლა-აღზრდის **საქმეების შესახებ** ცირკულიარი გადაუცია. ნამესტნიკს მზრუნველისთვის დაუვალებია ეს ცირკულიარი სკოლის უფროსებს გაუგზავნოს.

✦ ქუთაისის ბავშვებისათვის მზრუნველ საზოგადოებას შუამდგომლობა აღუძრავს ქალ. თვითმართველობის წინაშე, რომ უფასოთ ან შეღავათიანი პირობით დაეთმოს ხსენებულ საზოგადოებას ამ ჟამათ ქალაქისაგან იჯარით აღებული ადგილი მდებარე კახიანოურში ზომით ერთი დესეტინა. ამ ადგილზე საზოგადოებას სურს აავოს სასწავლებლისათვის საკუთარი შენობა.

✦ ქალაქის მეფურნეებმა ქალაქის საბჭოს პურზე ნიხრის მომატება სთხოვეს („იმერ.“).

## თელავი.

✦ გუბერნატორმა დაამტკიცა თელავისათვის შემდეგი **ნიხრი:** ძროხის ხორცი გირვანქა (სუკი) 14 კაპ. ცხვრის ხორცი—14 კ., გაფუფქული ღორის ხორცი—12 კ., გატყავებული ღორი—12 კ., ხბოს ხორცი—14 კ., კამეჩისა—7 კ.

## გორი

✦ გორის მაზრაში საშინლად **ბევრი კურდღელი** მოაწყდა ველებს, ალბად მთებში დიდი თოვლის გამო.

✦ კვირას, ოცდა შვიდ იანვარს ნაშუადღევის პირველ საათზე აკურთხეს „გორის გამომცემელთა ამხანაგობის“ ახალი სტამბა. კურთხევას ბლომა ხალხი დაესწრო, როგორც ქართველები ისე სომხები.

✦ ოცდა რვა ამ თვეს მეექვსე მორიგი კრება ჰქონდა გორის სახალხო უნივერსიტეტის გამგეობას. გამგეობამ გამოუცხადა ქალაქის რწმუნებულებს მადლობა სახალხო უნივერსიტეტისათვის მიწის დათმობისა გამო და საკითხი დააყენა. თუ როგორ შეხვდეს ალექსი-მესხიშვილის იუბილეს. განზრახულია სახალხო კრების მოწვევა. თუ სახალხო კრება ვერ მოხდა, სახ. უნივერსიტეტი თავისით აირჩევს დეპუტატს, რომელიც ხალხის სახელით მიულოცავს პატივცემულ იუბილიარს ბედნიერ დღეს.

## დ ე პ ე შ ა

(საკუთარის კორესპონდენტისაგან)

**ო დ ე ს ა.**

უნივერსიტეტის რექტორად აირჩიეს კიშენსკი, მემარჯვენე, წინანდელ რექტორის ლევაშოვის მოწინააღმდეგე.

## სამღვდელოების კრება

29 იანვარს, ნაშუადღევს 2 საათზე, სამღვდელოების დეპუტაცია ალ. ჯალიაშვილის მეთაურობით და კ. პოლიტოვისა, მ. მახათაძისა და როჟდესტვენსკის მონაწილეობით მეფის მოადგილის მეუღლეს გრაფინია ე. ა. ვორონცოვ-დაშკოვისას წარუდგა და მადლობა გადაუხადა იმ ყურადღებისათვის, რომელსაც გრაფინია იჩენს დედათა საეპარქიო სასწავლებლის მიმართ. ასევე მადლობა გადაუხადა მეფის მოადგილის კანცელარიის საგანგებო მინდობილებათა აღმასრულებელ აფიცრის მეუღლეს ქ-ნ პოპოვისას.

29 იანვარს, საღამოს კრებაზე, სამღვდელოებამ მოისმინა საგანგებო კომისიის მოხსენება დედათა საეპარქიო სასწავლებლის რევიზიისა. 1912 წელს სასწავლებელში ყოფილა 440 მოსწავლე. სასულიერო წოდებისა ყოფილა—293, არა სასულიერო წოდებისა—147. პანსიონში ყოფილა—116 (ამათგან სასწავლებლის ხარჯზე 42). შესანახი ფული გადაუხდიათ 150 მ. თითოს. გარედან მოსიარულე ყოფილა—324. სწავლის ფული საქართველოს ეპარქიის სასულიერო წოდების მოსწავლეებზე 10 მან, ყოფილა, სხვებზე—30 მ. არა სასულიერო პირთა შვილებზე სწავლის ფული ყოფილა 45—50 მ. ხარჯთ-აღრიცხვა ნავარაუდევი ყოფილა 49,953 მ. 90 კ. აქედან 21,980 მ. სანთლის ქარხანამ უნდა გადაიხადოს, სხვა ხარჯი სხვა და სხვა წყაროდან უნდა დაიფაროს. წრევანდელი ხარჯთ-აღრიცხვა შარშანდელს 2,000 აღემატება. კომისიას ხარჯთ-აღრიცხვა 1,700 მ. შეუმცირებია. სამღვდელოება კომისიის აზრს დაეთანხმა.

გუშინდელს კრებაზე სამღვდელოებამ მოისმინა საეპარქიო სასწავლებლის საბჭოს შუამდგომლობა. საბჭო 50,000 მან. თხოულობდა სასწავლებლის შენობის გასაფართოვებლად. ეს ფული სამღვდელოებას ნაწილ-ნაწილად უნდა ეხადა 15 წლის განმავლობაში. სამღვდელოების საგანგებო კომისიამ კი აღნიშნა, რომ ჯერ-ჯერობით კმარა მხოლოდ მესამე სართულის დადგმა, რაიც მოითხოვს 33,000 მან. ეს ფული სამღვდელოებამ ნაწილ ნაწილად გადაიხადოს, წელიწადში 3,300 მან. კრებამ კომისი-

# დიმიტრი ყიფიანი

**(ცხოვრების, აზროვნების და მოღვაწეობის მატიანე)**

**კარი XIV.**

თ-დ დონდუკოვ-კორსაკოვი, ჩაიგდო-რა ხელში აღნიშნული წერილი შინაგან საქმეთა მინისტრისა, გათამამებულია და ზურგ-გამაგრებულია. და იგი ანგარიშსა სთხოვს დიმიტრი ყიფიანს, ამიხსენით, რამ გაიძულათ დიდ მთავარს რომ შესჩივლეთო. ამაზე დიმიტრი ყიფიანი სწერდა:

თ-დ დონდუკოვ-კორსაკოვს!

17 დეკემბრის შეკითხვით თქვენმა ბრწყინვალებამ მიბრძანა, დაწვრილებით მომეხსენებინა თქვენთვის, თუ რამ მაიძულა დიდ-მთავარ მიხეილ ნიკოლოზის ძეს რომ მოვახსენე ის, რაც მოვახსენე. ამიტომ 30 ნოემბრის ჩემი მოხსენების შესავსებლად მაქვს პატივი გაცნობოთ, რომ მაშინ მე ორგვარი ფაქტი მქონდა მხედველობაში: 1) დაბრკოლებანი სახელმწიფო სამსახურის დროს და 2) სახალხო განათლების საქმეში უცნაური მოვლენანი. ის, რომ სამხედრო და სამოქალაქო უწყებებში მართლაც ახდენდნენ შეუფერებელ განკარგულებებს, ეს თქვენმა ბრწყინვალებამ თითონ კეთილ ინება და მითხრა ლაპარაკის დროს 23 ოქტომბერს ტფილისში. ხოლო შემდეგ სავსებით გამოირკვა, რომ ეს განკარგულებანი საკუთრივ ქართველებს არ ეხებოდნენ. ამიტომ ამ ფაქტების შესახებ კითხვა, განსაკუთრებით თქვენი შეკითხვის შემდეგ, სავსებით უკუგდებულად მიმაჩნია. და თუ ვიხსენიებ ამ ჟამად, მხოლოდ იმიტომ, რომ თქვენ მიბრძანეთ ამის გამო განმარტება მოგახსენოთ.—სხვანაირია მეორე კატეგორიის ფაქტები. ამის შესახებ მე ვწერდი 11 ოქტომბერს კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველს და ეს ჩემი წერილი თქვენს ბრწყინვალებას მიაჩნია უსაფუძვლო წერილად და არა-შესაფერ ოფიციალურ მიწერ-მოწერაში და შემლახველ იმ პირის ღირსებისა, რომელთანაც იგი მიწერილია. მაგრამ ვბედავ და მოვახსენებ თქვენს ბრწყინვალებას, კანონით განსაზღვრული ჩემი თანამდებობის ღირსების დაცვის გულისათვის: ბ-ნმა მზრუნველმა თითონ მომმართა და მთხოვა განმარტება იმ საკითხის გამო, რომლის შესახებ მისთვის ჩემზე მიუწერიათ და განმარტება მთხოვა ისეთი კილოთი, რა კილოთითაც თავად-აზნაურთა წინამძღოლს გარდა სენატისა, არავის არა აქვს უფლება ელაპარაკოს. ჩვენი ურთი-ერთის სამსახურის მდგომარეობა კი იმნაირია, რომ იგი არ გულისხმობს ერთის დამოკიდებულებას ან ხელქვეითობას მეორისაგან.—თუ რომ მე ამაში ვცდები და სწორედ არ მესმის ჩემი თანამდებობის ღირსება—თუმცა არა მგონია, რომ ეს ასე იყოს—არის სხვა მიზეზიც, რის გამო პასუხი არ გამიცია ბ-ნ მზრუნველისათვის. მე საჩივარით კი არ მომმართეს, რომელსაც არცკი განვიხილავდი, არამედ იმგვარ ცნობებით, რომელთა გამო (9 ტომის კან. კრებ. 10 აპრ. 293 სტ. მიხედვით) უყურადღებობა არ უნდა გამოეჩინა. ცნობები ამგვარია: ა) 1881 წელს იანვარში, ყოფილ კავკასიის ნამესტნიკის მიერ დამტკიცებული იყო სამოსწავლო გეგმა, რომლის ძალით სახალხო სკოლებში სწავლა ორი წლის განმავლობაში სამშობლო ენაზე უნდა ყოფილიყო მოწყობილი. მაგრამ 1885 წელს ეს გეგმა გაუქმებულ იქმნა, არა იმ პირის მიერ, ვისაც ნამესტნიკის შემდეგ ჰქონდა ჩაბარებული მმართველობის უფლება, არამედ ადგილობრივ სამოსწავლო დაწესებულების მიერ. ბ) 1885 წელს ივნისში სამაზრო პოლიციის განკარგულებით, რომელიც იმავ სამოსწავლო მმართველობიდან მომდინარეობდა, სოფლის საზოგადოებათ გამოუცხადეს, რომ ვისაც სურს თავისი შვილი სოფლის ნორმალურ სკოლაში მიაბაროს, სამშობლო ენაზე წერა-კითხვა წინდაწინვე სახლში უნდა ასწავლონ, წინააღმდეგ შემთხვევაში ბავშვი სკოლაში მიღებული არ იქნებაო. გ) ერთ სასწავლებელში, რომელიც ადგილობრივ მკვიდრთათვის იყო დაარსებული, ამ მკვიდრთა შვილებს 15 აგვისტოდან აღარ იღებენ. იღებენ კი იქ ჩრდილოეთ კავკასიიდან და სტავროპოლის გუბერნიიდან და გზის ხარჯსაც თვით სასწავლებელი იხდის. დ) ერთ საშუალო სასწავლებელს შუამდგომლობა აღუძრავს, რომ ამ სასწავლებლის პანსიონში, რომელიც თავად-აზნაურობის შვილებისათვის იყო დაარსებული, მიიღონ სამსახურ გათავებული სალდათის შვილები.—ყველა ამ ცნობების შემოწმება იყო საჭირო, უამისოდ მათ მე ვერავითარ მსვლელობას ვერ მივცემდი. მაშასადამე, დავალებული არ ვიყავი მეცნობებინა სამოსწავლო ოლქის მზრუნველისთვის. ეხლა კი, როდესაც ყველა ამ ხასიათის საკითხს ექვიანობით უყურებენ, შემოწმების იმედი სრულიად დამეკარგა.—თქვენი ბრწყინვალების საყურადღებოდ ვახსენებ ყველა ამას მხოლოდ თქვენი ბრძანების მიხედვით, ხოლო ჩემს თავზე არ ვიღებ პასუხისმგებლობას იმის გამო, რომ ყოველივე ეს ჭეშმარიტებაა. მაგრამ შემიძლია მოგახსენოთ ერთი შეურყეველი და ახალი ფაქტი, რომელიც იმას გვეუბნება, რომ არსებობს მიდრეკილება ქართულ ენის დევნისა.—მოციქულთა დროიდან ქართული ენა იყო საეკკლესიო და კულტურული ენა სამეგრელოში. იქ ყველას ესმის ეს ენა. ამ ჟამად კი იქ ახალ კულტურას ჰნერგავენ — მეგრულ ენას ასწავლიან სხვა ანბანის საშუალებით. ასე რომ გავყვეთ, შეიძლება შეიქმნას ახალი კულტურა აჭარლებისა, ფშავ-ხევსურებისა, ინგილოებისა, მთიულებისა და სხვათათვის. სასარგებლო კი იქნება ყოველივე ეს იმ მთავრობისთვის, რომელმაც თავის მფარველობის ქვეშ აიყვანა მრავალტანჯული მართლმადიდებელი საქართველო, რისთვისაც უსაზღვრო მადლობა და ერთგულება დაიმსახურა—მე ჩემს წმინდა მოვალეობად ვსთვლი მუდამ ამ მადლობის და ერთგულების გრძნობაზე ვიდგე და სწორედ რომ არ მესმის, რატომ მიწყრებიან ამის გულისთვის.

ქუთ. გუბერ. თავად-აზნაურთა წინამძღოლი დიმიტრი ყიფიანი.

ეს დოკუმენტი საკმარისად ასურათებს იმ დროინდელ ვითარებას. გარემოება გართულდა. უკანონობა კანონად გადაიქცა 1881 წლის სამოსწავლო გეგმის გაუქმებით. სამსახურში ადგილობრივ მცხოვრებლებს აღარ იღებენ, სამეგრელოს აშორებენ დანარჩენ საქართველოს, თავად-აზნაურთა წინამძღოლის ღირსებას არაფრად აგდებენ. და თავის საპასუხო წერილში დიმიტრი ყიფიანმა ყოველივე ეს თამამად ჩამოსთვალა და გაახსენა თ. დონდუკოვს. და ყველასათვის აშკარა იყო, რომ დიმიტრი ყიფიანი ასე ადვილად თავს არავის დააჩაგვრინებს და არც ერთს ბოროტებას, ადმინისტრაციის მიერ ჩადენილს, გაუკიცხავს არ დააგდებს. ეს გარემოება, რა თქმა უნდა, საზოგადო პოლიტიკის მიმართულებას არა სცვლიდა. ბოროტება ბოროტებადვე რჩებოდა. ერთი ნუგეში და იყო—ბოროტების მედგარი მხილველი და მდევნელი გაუჩნდა ქართველ საზოგადოებას. ამაში იყო მცირედი ზნეობრივი დაკმაყოფილება. ასე რომ პირის-პირ იდგა ორი ძალა: ერთი ძალა გაამპარტავნებული და გაკადნიერებული იყო სახელმწიფოებრივი უზარმაზარის მექანიზმის ხელში ტრიალით. მეორე ძალა მხოლოდ ზნეობრივის სიმტკიცით და შეურყევლობით მაგარი. ამ ორ ძალთა შეჯახების დროს გამარჯვება, რა თქმა უნდა, გაკადნიერებულთა მხარეზე იქნებოდა.

სანამ ამ ხასიათის მიწერ-მოწერაში არიან ადმინისტრაციის და საზოგადოების უმაღლესს ხარისხზედ მდგარნი პირნი, ტფილისის სასულიერო სემინარიაში თავზარ-დამცემი ამბავი ხდება. 24 მაისს 1886 წელს სემინარიის რექტორი ჩუდეცკი მოკლულ იქმნა მესამე კლასიდამ გამორიცხულ შეგირდის იოსებ ლაღიაშვილის მიერ. იმავ წლის 10 ივნისს სამხედრო სასამართლოში გაარჩიეს ეგ საქმე. და აქ გამოირკვა ბევრი რამ საყურადღებო. მოგვყავს ზოგიერთი ცნობები იმ დროინდელ „ივერიის“ „სასამართლოს მატიანედან“.

„სემინარიის ინსპექტორმა იაკობ სტეფანეს ძე სტეფანოვმა აჩვენა, რომ პედაგოგიურის კრების ჟურნალისამებრ 9 დეკემბერს 1885 წელს, რომელიც დამტკიცებულ იქმნა საქართველოს ეგზარხოსის მიერ, მესამე კლასის შეგირდის იოსებ ლაღიაშვილს მოესპო სახელმწიფო ხარჯი, რადგანაც უპოვეს დღიური, რომელშიაც ისეთი რამ ეწერა, რომ ამტკიცებდა შეგირდის შეუწყნარებელ მიმართულებასა. ეს მიმართულება იმითი აღმოჩნდა, რომ ლაღიაშვილი არაფრად აგდებდა სასულიერო მოძღვრებათა და სასულიერო პირთა, აგრედვე მძულვარებით ლაპარაკობდა თავის დღიურში ერთ-ერთს მასწავლებელზე და დასასრულ მონაწილეობას იღებდა საიდუმლო ხელნაწერ გაზეთში, რომელსაც ქართულად სწერდნენ და რომელსაც სახელი აქვს „ყვავილი“. სრულს სახარჯოს მაგიერ, ლაღიაშვილს 6 მანეთის ძლევა დაუწყეს თვეში. ამ ღონემ მაინც თავისი არ დაამშვიდა ლაღიაშვილს. 12 მარტს, როდესაც სტეფანოვი მივიდა იმის სახლში, ლაღიაშვილმა თავისი წიგნები და რვეულები არ აჩვენა იმ მიზეზით, რომ ყველა წიგნები მე არ მეკუთვნისო და ჩემს წიგნებში სხვისაც ურევიაო. როდესაც წიგნები გაუსინჯეს უპოვეს ერთი მოზრდილი წიგნი: „Отечественныя Записки“-სა და წიგნში რვეული შემდეგის ეპიგრაფით: „ცოდნა—სინათლეა, თავისუფლებას აძლევს კაცს. თუ ცოდნა არა გვაქვს, არც თავისუფალი ხარ“. როდესაც ლაღიაშვილს ეს წიგნი სთხოვეს, ლაღიაშვილმა უპასუხა, რომ „თქვენ ნება არა გაქვთ წიგნები წაიღოთო“. მეორე დღესაც ბევრი შეურაცყოფა მიაყენა სტეფანოვს, რომელმაც სემინარიის მმართველობაში უჩივლა. რექტორმა სთხოვა, რომ გასვლის თხოვნა შემოეტანა. თხოვნის თანახმად, ლაღიაშვილი დათხოვნილი იქმნა 13 მარტს და ყოფა-ქცევის ნიშანი 4 დაუსვეს“...

ჩვენების ჩამორთმევის დროს ლაღიაშვილმა სთქვა: „ჯერ სემინარიაში ვცხოვრობდი, ხოლო დეკემბერში 1885 წელს, როდესაც „დღიური“ წამართვეს და მის გამო სახელმწიფო სახარჯო მომისპეს და მაგიერად თვეში 6 მანათის ძლევა დამიწყეს, ცალკე ოთახი დავიქირავეო. 1886 წ. იანვარში გაკვეთილები ვიშოვნე. ვასწავლიდი აქაურის კამანდის ფელდფებელის შაპოვალოვის შვილებს — გიმნაზიელებს, გასამრჯელოს სადგომსა და სადილს მაძლევდნენო და იმათთან ვცხოვრობდი უკანასკნელ დრომდეო. მარტში ჩემსას იყო ინსპექტორი ზედამხედველით და წიგნებთა შუა მიპოვნეს პისემსკის თხზულება: „მეორმოცე წელთა მოღვაწეები“ და რვეული, რომელშიაც მე ჩემს თავგადასავალსა ვწერდი. ინსპექტორს, არ ვიცი კი რად, ეს წიგნი „Отечественные записки“ ეგონა და წიგნი და რვეული მომთხოვა. ხოლო მე არ მივეცი და ამის გამო ძალ-მომრეობით გასვლის თხოვნა მიმაცემინეს სემინარიიდან დათხოვნისა. დამითხოვეს და ყოფა-ქცევის ნიშნად 4 დამისვეს. ამ ნიშნით მე არსად არ შემეძლო შესვლა და ძალიან გაჭირვებულ მდგომარეობაში ვიყავი მით უფრო, რომ ივნისში ფელდფებელთან გაკვეთილები აღარ მექნებოდა და სრულიად უშემწეოდ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ის აზრი მოიწონა, მაგრამ საკითხის საბოლოოდ გადაწყვეტა გადასდო იმ დრომდე, სანამ სასულიერო სემინარიის ძველ შენობის საკითხს განიხილავდეს; ამას გარდა სამღვდელოებამ დაადგინა, სთხოვს საქართველოს ეგზარხოსს, ნება დართოს მსჯელობა იქონიოს სემინარიის ძველ შენობის თაობაზე და ღონისძიებანი შეიმუშავოს შენობის გამოყენებაზე.

## სხვა და სხვა ამბავი

**გუბერნატორთა თათბირი.** როგორც „ნოვოე ვრემია“ შეუტყვია, შინაგან საქმეთა სამინისტროში დიდ მნიშვნელობას აწერენ გუბერნატორების თათბირს, 8 თებერვალს რომ უნდა მოხდეს. გუბერნატორთა თათბირმა უნდა განიხილოს საპოლიციო რეფორმის პროექტი. ამის გარდა შინაგან საქმეთა ახალი მინისტრი, მაკლაკოვი პირადად გაეცნობა მთავრობის წარმომადგენლებს, რომელნიც ადგილობრივ აწარმოებენ მთავრობის პოლიტიკას. მაკლაკოვი გააცნობს ცენტრალურ მთავრობის აზრს საადმინისტრაციო ორგანოების მოქმედებასა და დანიშნულებაზე.

**ჯაშუშები საზღვარზე.** ამ დღეებში ავსტრიის საზღვარზე ორი ჯაშუში შეიპყრეს. ნოვო-სელიცკის რაზმის უფროსმა შეჰნიშნა, რომ ბოლო დროს ძლიერ გახშირდნენ სოფლებში მოხეტიალე საეჭვო პირები. უკანასკნელნი ხან ბერის სამოსელში არიან გახვეულნი და სოფელ-სოფელ დაწრწიან, ხან დაირა-მუზიკით დაიარებიან, ხან კი ჯამბაზობენ. ეს საეჭვო პირები ხალხთან საუბრობენ. ადმინისტრაციამ თვალყური ადევნა საეჭვო პირებს. შეიპყრო ორი ახალგაზრდა კაცი ბალალაიკითა და გიტარით. გაჩხრეკის დროს აღმოაჩნდათ ევროპის რუსეთისა და ბესარაბიის გუბერნიის რუკა, კომპასი და უბის წიგნი, საცა გადაღებული ჰქონდათ მეორე, მესამე და მეოთხე ბრიგადის პოსტები, ჩაწერილი იყო ჯარისკაცთა რაოდენობა და სხვა. როგორც გამოირკვა, ჯაშუშები ავსტრიის მთავრობის სამსახურში იყვნენ.

**„დანიშნული“ პროფესორი.** 25 იანვარს მთავრობის მიერ დანიშნულმა პროფესორმა უდინცოვმა პეტერბურგის უნივერსიტეტში პირველი ლექცია წაიკითხა. უნივერსიტეტს იცავდა პოლიციის გაძლიერებული რაზმი. ლექციას 9 სტუდენტი დაესწრო.

## დეპუტატთა პასუხის მგებლობა

22 იანვარს სახელმწიფო საბჭოს პირველმა დეპარტამენტმა საბოლოოდ გადასწყვიტა დეპუტატთა პასუხის-მგებლობის საკითხი.

დეპარტამენტმა განიხილა ნადეპუტატარ გოლოლობოვის საჩივარი ნადეპუტატარ კუზნეცოვზე და სხვა მემარცხენე დეპუტატებზე, რომელთაც ხელი მოაწერეს შეკითხვას შრომის ჯგუფელ კარავაევის მოკვლის თაობაზე. შეკითხვაში აღნიშნული იყო გოლოლობოვის და ობრაზცოვის მონაწილეობა კარაევის მკვლელობაში.

სახელმწიფო საბჭოს პირველი დეპარტამენტი სავსებით დაეთანხმა მინისტრის ამხანაგის აზრს და დაადგინა: სათათბიროს წევრი კუზნეცოვი მიეცეს უმაღლეს სისხლის სამართალში, ხოლო სხვა დეპუტატებზე, რომელთაც შეკითხვას ხელი მოაწერეს, სათანადო გამოძიება დაინიშნოს. ამ დადგენილების ძალით პოლიცია შეუდგა კუზნეცოვის ბინის ძებნას. როგორც გამოირკვა კუზნეცოვს შარშან გაზაფხულზედვე საზღვარ-გარეთის პასპორტი აუღია და პეტერბურგიდან წასულა.

## ბალკანეთის ომი

**დეპეშები.**

29 იანვარი.

**სოფია.** დაწვრილებითი ცნობები იმისა, თუ როგორ ცდილობდნენ ოსმალები შავი ზღვიდან პოდიმის ახლოს გადმოსვლას: დილის 7 საათზე ყარამურუნის მხრიდან საპირს მოადგა ორი კრეისერი, ორი ნაღმოსანი, რამდენიმე ნავით და გადმოსხა 250 ჯარის-კაცი. ბულგარეთის რაზმმა, რომელიც ნაპირს იცავდა, იერიში მიიტანა მათზე. მიუხედავად ფლოტის დახმარებისა, ოსმალები უკუიქცნენ და ისევ ნავებს მიაშურეს. მოჰკლეს 25, დაჰჭრეს და ტყვედ წამოიყვანეს 16; ბულგარელებს 3 მოუკლეს და 18 დაუჭრეს, ნაშუადღევს ოსმალები ისევ შეეცადნენ ნაპირზე გადმოსვლას, მაგრამ დიდის ზარალით უკუაქციეს.

**სტამბოლი.** გალიპოლის მიდამოებში ფიცხელი ბრძოლა გრძელდება. ბულაირიდან არავითარი ცნობა არაა.

**ათინა.** სამხედრო მინისტრმა გამოაქვეყნა მეჰკვიდრის დეპეშა ფილიპიადიდან 28 იანვარს გამოგზავნილი: „28 იანვარს ღამით ჩვენმა მოწინავე ჯარმა სროლა აუტეხა ოსმალებს, რომელთა არტილერიამ მხნედ გვიპასუხა, მაგრამ ღამის 2 საათზე ისევ ჩაჩუმდა; ჩაჩუმდა ქვეითი ჯარიც, ბერძნების დანაკლისი უმნიშვნელოა. მეორე დღეს კვლავ განვაახლეთ სროლა, მტერი ხან-გამოშვებით გვიპასუხებდა. მსუბუქად დაიჭრა დივიზიის უფროსი, თუმცა ისევ განაგრძობს მოქმედებას. მტერი შეეცადა ზავროვოს ხიდის დაჭერას. მაგრამ დიდის დანაკლისით უკუქცეული იქნა; დავლად დაგვრჩა ჭიდძალი თოფი და საომარი სურსათი, იანინიდან ოსმალთა გამარჯვების ცნობა მოჭორილია; საბერძნეთის ჯარს უკან არ დაუხევია და არც ბიზანისათვის დაუშენიათ ზარბაზანი“.

**სოფია.** ბულგარეთის სააგენტო იუწყება, რომ 27 იანვარს ბულგარელებმა ჩათალჯაში მთელს ფრონტზე მოიგერიეს ოსმალების იერიში, გარდა მარჯვენა ფრთისა, რომელსაც მტერმა ჯვარედინი ცეცხლი გაუჩინა ხმელეთის სიმაგრეებიდან და მარმარილოს ზღვიდან. ბულგარელებმა პოზიციები იცვალეს, მათი დანაკლისი მცირეა, ოსმალებისა კი რამდენიმე ათასი. ბულაირის ახლოს ბულგარელებმა მიწური საფრების კეთება იწყეს; საომარი ველი გასწმინდეს ოსმალთა მკვდრებისაგან, რომელთა რიცხვი 5.000-მდეა, ჰფიქრობენ, რომ დაჭრილი ორჯერ მეტი იქნებაო. დღისით ოსმალეთის კრეისერებმა სროლა აუტეხეს ბულგარელების მარცხენა ფრთას, დაჭრილია ერთი, მოკლულიც ერთი. ოსმალების დესანტს ს. შარქიოში ბულგარელები შემოერტყნენ, მტერს თავზარი დაეცა და ფლოტის არტილერიის მფარველობით ისევ ნავებს მიაშურა. ბულგარეთის ქვეითმა ჯარმა საშინელი სროლა აუტეხა მტრის გაქცეულ ტრანსპორტებს; მათი ზარალი ათასობით განისაზღვრება. ბულგარელებს ასამდე დაუჭრეს და მოუკლეს.

**სტამბოლი.** საომარ ხარჯის დასაფარავად მთავრობამ გამოაცხადა, რომ ეროვნულ თავდაცვის კომიტეტი შემოწირულებას იღებს. სულთანის ბრძანებით უსასყიდლოდ აგროვებენ ყველა იმ სურსათ-მასალას, რომელიც ომისთვის გამოდგება. გამოიცა ბრძანება 5 მილიონი გირვანქა ოქროს შინაური სესხის აღებისა, რომლის ფურცლებიც ძალაუნებურად უნდა შეიძინოს ოსმალეთის ყოველმა ქვეშევრდომმა. ამ ამბავმა ცუდი შთაბეჭდილება მოახდინა მცხოვრებლებსა და სავაჭრო დაწესებულებებზე. კვლავ აპატიმრებენ იმ პირებს, რომელნიც „ერთობისა და პროგრესის“ პარტიის წინ აღმდეგ სწერდნენ. მთავრობამ ომის საჭიროებისთვის დაიბარა 22 სამგზავრო გემი, რომელნიც ბოსფორსა და სტამბოლს შუა დიდიოდნენ. ამ გემებში ჯარი ჩასხეს და მარმარილოს ზღვაში გაისტუმრეს.

### გაზეთიებიდან.

**ადრიანოპოლის ალყა.**

ადრიანოპოლის ციხის იერიში გაცხარებით გრძელდება, ზარბაზნების სროლა დიდ ზარალს აყენებს როგორც სიმაგრეებს, ისე მშვიდობიან მცხოვრებთ. აღმოსავლეთის მხრივ ორი სიმაგრე მიწასთან გაასწორა სერბიის საალყო არტილერიამ. ყუმბარები შუა ქალაქში ცვივა, რისგამოც მცხოვრებნი თავზარ-დაცემულნი გადადიან ერთი უბნიდან მეორეში თავ-შესაფარის საძებრად, მაგრამ ამაოდ—ყველგან საშინელი ჯოჯოხეთია გამეფებული. ქრისტიან მცხოვრებთა დავალებით შუქრი-ფაშასთან მივიდნენ ბერძნებისა და სომხების მიტროპოლიტები, აგრეთვე გამოჩენილი პირები და რაკი მცხოვრებთა გაჭირვებული მდგომარეობა აუწერეს, სთხოვეს მას, მიეცა მშიერ მოქალაქეთათვის საზრდო და ბინა, ან ქალაქიდან გასვლის უფლება. შუქრი-ფაშამ საალყო წესების დარღვევად ჩასთვალა მათი საქციელი და უბრძანა წარმომადგენლების ჩამოხრჩობა. ორივე მიტროპოლიტი და წარჩინებულები მყისვე ჩამოახრჩეს ქალაქის მოედანზე სხვების დასაშინებლად.

**სკუტარის ალყა.**

სკუტარის ციხის დღენი დათვლილია, რადგან სერბია-ჩერნოგორიის შეერთებული ჯარი თანდათან ავიწროებს საალყე რკალს. სერბიელებს ორის მხრიდან მიაქვთ ციხეზე იერიში. პირველი რაზმი პოლკოვნიკ პოპოვიჩის უფროსობით შუბლიდან აწვება სიმაგრეებს და მიზნად აქვს მდ. ძველი დრინის გაღმა გასვლა, რომელიც სამხრეთით ჩამოუდის ქალაქს, მეორე შერეული რაზმი სამხრეთიდან მოქმედობს და ბარბალონგის მაღლობებზე მიაქვს იერიში. ოსმალებმა ველარ გაუძლეს ორი მხრიდან მოწოლილ მტერს და შიდა სიმაგრეებისკენ დაიხიეს. ამით გამხნევებულმა მოკავშირეებმა მყის გააჩაღეს საალყო ზარბაზნების სროლა და საშინელ ბრძოლის შემდეგ ზედი-ზედ აიღეს მნიშვნელოვანი ციხეები მუსელიმისა, დიდ-ბარდანიოლისა, გაიტანისა და ბუშათის. განსაკუთრებით ფიცხელი ბრძოლა დიდ-ბარდასიოლთან მოხდა, სადაც მეომარნი ასობით იხლართებოდნენ ეკლიან მავთულებში, რომელიც ოსმალებს გაემართად იერიშის გასაძნელებლად. ამ გამარჯვების შემდეგ ჩერნოგორელები 150 ნაბიჯზე მიუახლოვდნენ მთავარ სიმაგრეებს.

**ქურთების ცხენოსანი რაზმი.**

სტამბოლიდან ცნობაა, რომ ოსმალებმა ქ. მიდიის ახლოს (შავი ზღვის ნაპირზე) 15.000 ქურთი-ცხენოსანი გადმოიყვანეს, რომელიც შეიარაღებულია მაუზერებითა და სწრაფლ-მსროლი თოფებითა. ამას გარდა თითო ცხენოსანს თან აქვს 800 პატრონა და 20 ყუმბარა. რაზმის დანიშნულება ისაა, რომ ზურგიდან მოექცეს ბულგარელებს ჯარს, გაიბნეს მთელს მხარეში პატარ-პატარა რაზმებად და პარტიზანული ომი გაუმართოს მოკავშირეებს.

ეს ცნობა მესამედ მოიტანა დეპეშამ, მაგრამ მიუხედავად ასეთი დაჟინებისა, იგი მაინც დაუჯერებელია, რადგანაც ქ. მიდიაში, სადაც ვითომც ეს რაზმი გადმოვიდა, ნოემბერშივე ბულგარელების ორი პოლკი იდგა და შავი ზღვის მთელი სანაპირო, მიდიიდან დაწყებული თვით დერკოსის ციხემდე, ხმელეთის ბატარეებითაა გამაგრებული, რომელსაც შავი ზღვიდან ასე ადვილად ვერვინ შეეპარება. ამას გარდა, თვით დეპეშის შინაარსიც ცხადჰყოფს მის სიცრუეს: 800 პატრონა და 20 ყუმბარა თითო ცხენოსანზე მეტად დიდი ტვირთია და არც გაგონილა სამხედრო პრაქტიკაში. დღევანდელი დეპეშა როგორც მოსალოდნელი იყო, უარჰყოფს ამ ცნობას.

**ენვერ ბეის განზრახვა.**

ლონდონიდან იუწყებიან, რომ ენვერ-ბეი 20 000 ჯარის-კაცით მარმარილოს ზღვის ნაპირს გადმოვიდა. ამ ჯარით აპირებს ქ. როდოსტოსკენ გალაშქრებას, როდესაც კი დანამდვილებით გაიგებს, რომ როდოსტოს სანაპიროები თავისუფალია ნაღმებისაგან. ამ მიზნით სტამბოლიდან გაგზავნეს საშინჯი გემები. ენვერ-ბეის იმედი აქვს, რომ სამხედრო ფლოტის დახმარებით იგი შესძლებს ზურგიდან მოვლას და ბულგარელებს უკან დაახევინებს.

**ოსმალეთის საომარი გეგმა.**

გაზ. „მესეჟეროს“ სტამბოლელი კორესპონდენტი იტყობინება ოსმალების მიერ შემუშავებული საომარი გეგმის შინაარსს. ბულგარეთის ჯარის ზურგს უკან გადასხამენ ქურთების ცხენოსან ჯარს, რომლის დანიშნულებაც იქნება ადრიანოპოლის საალყო ჯარსა და ჩათალჯას შორის დამოკიდებულების გაწყვეტა. მეორე კორპუსი ფეთხი-ფაშას უფროსობით გალიპოლის ნახევარ კუნძულზე იმოქმედებს დარდანელის დასაცავად, ხოლო ოსმალეთის ფლოტი ზარბაზანს დაუშენს ბულგარელების ჩრდილო სიმაგრეებს, რათა ამით მტერს თვალი აუხვიოს და შეუმჩნევლად შეასრულოს მარმარილოს ზღვის სანაპიროებზე ჯარის გადაყვანა.

**ჩათალჯასთან.**

კერძო ცნობებით, ჩათალჯის სიმაგრეებიდან ოსმალების ორმა დივიზიამ, მე-8 და 14-მ, იერიში მიიტანა ბულგარელების პოზიციებზე მდ. ყარა-სუს მხრიდან, მაგრამ იძულებული შეიქნა დიდი ზარალით უკუქცეულიყო.

## ბალკანეთი და ევროპა

**დეპეშები.**

29 იანვარი.

**ვენა.** „ნეიე ფრ. პრესე“ ვითომ ბუქარესტის წყაროებიდან იუწყება, რომ ახლო მომავალში ავსტრია რუმინიის მთავრობის თხოვნითა და გერმანია-იტალიის თანხმობით ოფიციალურად წინადადებას მისცემს ბულგარეთის მთავრობას, დაიჩქარე რუმინიის მოთხოვნილებათა შესახებ მოლაპარაკებაო.

**ვენა.** „ფრედემბლატი“ აცხადებს, რომ თუნდაც ჩერნოგორელებმა სკუტრი აიღონ, მდგომარეობა არ შეიცვლებაო. რადგანაც იმის გადაწყვეტა, თუ ვის უნდა ერგოს ეს ალბანეთის ქალაქი, დიდ სახელმწიფოებზეა დამოკიდებულიო.

**ვენა.** დეპუტატთა პალატაში თავდაცვის მინისტრმა გეორგიმ, აღნიშნა სათადარიგო ჯარისკაცების სრული უზრუნველყოფა მთავრობის მიერ და განაცხადა: ავსტრია-უნგრეთის ჯარი ყოველ წუთს მზადაა ღირსეულად აასრულოს თვისი მოვალეობა სამშობლოს წინაშეო. მინისტრის განცხადება ყველამ დიდად მოიწონა, გარდა სოციალისტებისა, რომელნიც ყვირილით აწყვეტინებდნენ სიტყვას.

**ლონდონი.** ელჩთა კონფერენციის გუშინდელი სხდომა ორ საათს გაგრძელდა. სხდომის საგანი ბალკანეთის ახლანდელი მდგომარეობა იყო.

**სახელმწიფოების ფლოტი.**

ოსმალეთის მთავრობამ ნება დართო იტალიის სამხედრო გემებს დარდანელის სრუტით სტამბოლში მისვლისა, ხოლო ინგლისს ასეთსავე თხოვნაზე უარი უთხრა.

## დეპეშები

(დ პეშათა პეტერბ. სააგენტო)

29 იანვარი.

**საზღვარ-გარეთ**

**ლონდონი.** ლორდთა პალატა. ტერიტორიალურ ჯარის რაოდენო-

---

ვრჩებოდი. რამდენჯერმე მივედი რექტორთან და ვთხოვე, გადამისწორე ყოფა-ქცევის ნიშანი 5-ზე, მაგრამ რექტორი ყოველთვის უარს მეუბნებოდა. ბოლოს დროს ვსთხოვე, სასწავლებლის მოწმობა მაინც მომეცით, მაგრამ ამისიც უარი მითხრეს. შეძრწუნებულმა რექტორის ამგვარ მოქმედებით და ჩავარდნილმა უუკიდურესს მდგომარეობაში, გადავსწყვიტე რექტორის მოკვლა. ეს აზრი მე მომივიდა 24 მაისზედ ორის კვირის წინ. სწორედ ამ დროს მომიხდა ვერის ხიდზე გასვლა, აქ ვიყიდე რომელიღაც ოსისაგან ხანჯალი სამ მანეთად—ეს ხანჯალი მაშინვე წავიღე პეტრე პავლეს სასაფლაოზე და დავმალე ბალახებში. ერთის კვირის წინ მკვლელობამდის მე ეგზარხოსთან ვიყავი და ვსთხოვე მთავრის ადგილი, მაგრამ ამაზე ეგზარხოსმა მითხრა, რომ ჯერ „პრიჩეტნიკად“ უნდა დაჰყო რამდენიმე ხანიო. ამის გამო მე დავწერე თხოვნა „პრიჩეტნიკის“ ადგილის შესახებ და 23-ს ხელ-ახლად მივედი ეგზარხოსთან. მაგრამ ეგზარხოსმა, რაღაც მიზეზისა გამო, არ მიმიღო. ეს ის თხოვნაა, რომელიც მე პალტოს ჯიბეში მინახეს. ამის შემდეგ მე კიდევ მივედი რექტორთან და ვსთხოვე ყოფა-ქცევის ნიშნის გამოცვლა, მაგრამ კიდევ უარი მივიღე. მაშინ მე 24 მაისს დილას, რაკი ჩაი დავლიე, წავედი სასაფლაოზე, ვიპოვე ხანჯალი და ჩამოვიკიდე ქამარზე პალტოს ქვეშ იმ ფილასით, რომელიც ზედა მქონდა. სემინარიაში შევედი წინა კარით და მაშინვე დავეშურე რექტორის სადგომისკენ და აქ რექტორის მეუღლე დავინახე. რამოდენსამე ხნის შემდეგ გამოვიდა თითონ რექტორი. მე მივართვი თხოვნა მოწმობის შესახებ, მაგრამ რექტორმა უარი განაცხადა თხოვნაზე. მე გამოვედი ოთახიდან, მაგრამ მალე კვლავ უკან დავბრუნდი იმ აზრით, რომ ეგება რექტორმა შემიბრალოსო, რექტორი მაშინ იდგა წინა ოთახის ახლოს. მე განვიმეორე ჩემი თხოვნა, მაგრამ რექტორმა კვლავაც უარი მითხრა, მაშინ კი გამოვედი მოთმინებიდან და ხანჯალი დავეცი რექტორსაო“...

ფელდფებელმა სტეფანე შაპოვალოვმა და მისმა მეუღლემ მარიამ დიმიტრის ასულმა (ვსთანაც იდგა ლაღიაშვილი) აჩვენეს, რომ ლაღიაშვილი, რომელიც ასწავლიდა მათ ყმაწვილებს, სცხოვრობდა ძლიერ ღარიბად, როდესაც დაითხოვეს სემინარიიდან, იგი ყველაზე უფრო სჯავრობდა ინსპექტორზე და ამბობდა, იმან დამაბეზღაო. რექტორზე კი ცუდათ არასოდეს არ ულაპარაკნია. სემინარიიდან დათხოვნის შემდეგ იგი უფრო გულს-მოდგინედ მოეკიდა სწავლასა და ამბობდა, რომ ალექსანდროვის საასწავლებლო ინსტიტუტში უნდა შევიდეო. მერმე გამოგვიცხადა, რომ იმ ყოფა-ქცევის ნიშნით, რომელიც მე მომცა სემინარიის მთავრობამაო, ინსტიტუტშიაც არ მიმიღებენო და როდესაც ჩვენ ვურჩიეთ, რომ სთხოვე რექტორს ეგებ გადაგისწოროსო, მან გვიპასუხა: „ვსთხოვე, მაგრამ არა გამოვიდა-რაო. ჰე, ღმერთმა მშვიდობა მისცეთ, წავალ გორს და იქ შევალ სასწავლებელშიო; გორის სასულიერო სასწავლებლიდან გამოვიტან მოწმობას, იქ ხომ 5 მაქვს ყოფა-ქცევაშიო“. ამას მარიამ შაპოვალოვისამ დაუმატა, რომ როდესაც ლაღიაშვილმა არ მისცა წიგნი ინსპექტორს, ჩვენ ვურჩიეთ, რომ ბოდიში მოეთხოვა, მაგრამ მან გვიპასუხა: „ვითხოვე, მაგრამ ყურიც არ მათხოვესო“.

გარდა ამისა ნინა მახარაშვილისამ, მისმა შვილებმა, ნათესავებმა და აგრეთვე ზედამხედველმა და მასწავლებელმა გორის სასულიერო სასწავლებლისამ, როგორც სჩანს, ტფილისის საგუბერნიო ჟანდარმების უფროსის თანაშემწესაგან შეკრებილ ცნობებიდან, აჩვენეს, რომ იოსებ ლაღიაშვილი ცნობილი იყო, როგორც ძლიერ კარგი ყოფა-ქცევის ყმაწვილი, ტკბილის ხასიათისა, ჩუმი, წყნარი, მორჩილი, პატივის-მცემელი, მომთმენი და არაფერს ცუდში შენიშნული არ ყოფილაო“.

„დღიურში“ რომელიც უნახეს ლაღიაშვილს შემდეგს სიტყვებს შეხვდებით: „3 ოქტ. 1885 წ. 3 კლასის სემინარიის მოსწავლეებმა დაარსეს ქართული ჟურნალი „ყვავილი“.—„12 ოქტ. 3 კლასის მოწაფეებმა არ მოიტანეს სამოქალაქო ისტორიის თხზულებანი, რის გამოც ინსპექტორმა ყოფა-ქცევის ნიშანს თითო რიცხვი მოუკლო“.—საყვარელო ძმაო დავით, გთხოვ, რომ შენი შრომა ჟურნალ „ყვავილში“ არ მოსპო“.—1885 წ. ოქტ. 21-ს სემინარიელებმა კიჟინა დასცეს ახალ ზედამხედველს დიმიტრი ნიკოლოზის ძეს იმის გამო, რომ მან უქმად იცის ხოლმე ტანტალი შეგირდების საწოლ ოთახში დღესასწაულ დღეებში“. 21 ოქტომბერს მასწავლებელმა ჟორდანიამ გამოუცხადა შეგირდებს, რომ ამის შემდეგ ვაითონს წაგაკითხებთ ქართულ ენაზედ ხოლმე, ზეპირად შეგასწავლით საეკლესიო საგალობლებსაო და სხვა-და-სხვა იეზუიტურს საგნებსაო“. „ინსპექტორი იაკობ სტეპანიჩი სადილის უკან შემოდის ხოლმე (5 საათზე) კლასებში, თუ ცოტა შექეიფიანებულია.—ყველა ჯაშუშადა და ქეციან ძაღლადა სთვლის და ამიტომაც არ იკარებს ფინიევს, ინსპექტორის დემურჩ-ოღლის პირველს ჯაშუშს“.—1885 წ. 9. ნოემბ. მე მთხოვა ბ-ნ №, რომ ყოველდღე ვიარო იმ წრეში, რომელიც სემინარიელთაგან შესდგებოდა. ამ წრეებმა უნდა აღზარდონ ახალი თაობა, მტკიცეს ხასიათით და კეთილ-გონიერებით სავსე ნამდვილი მოღვაწეები მსურს. იოსები.—„ინსპექტორმა გაჩხრიკა მე-2 კლასის შეგირდები და რვეული და ერთი ქართული წიგნი გამოართო“.—მე, შ—ი, ჩ—ძე. მე—ი, ხ—ი და უ—ძე ვიყავით კრებაზე კუკიაში. იოსები“.—„ამ წრეში კვირაში ორჯელ უნდა ვიაროთ, სამშაბათობით და პარასკევობით“.—„აღმოჩნდა, რომ რექტორი ღამ-ღამობით დადის და შეგირდების სასწავლო ყუთებში წიგნებს დაეძებს“. გარდა ამისა მკვლელობის შემდეგ ლაღიაშვილს უპოვნეს ჯიბეში რამდენიმე ქაღალდი. ერთზე იყო დაწერილი: „მიეწყოს ყოველსა ღირებულებისამებრ მისისა“.

სასამართლოს განაჩენის შესახებ „ივერიაში“ (იმავ ნომრის ახალ ამბებში) ვკითხულობთ: „ორშაბათს 16 ივნისს არჩევდნენ სამხედრო სასამართლოში რექტორის მკვლელის იოსებ ლაღიაშვილის საქმეს. დილიდან მოყოლებული საღამოს 11 საათამდე ქუჩა ხალხით სავსე იყო და სასამართლოს სადგომს გარშემო ერტყა. საათ-ნახევრის რჩევის შემდეგ 10 ს. და 10 წუთზე კავ. სამხედროლოქის სასამართლომ შემდეგი განაჩენი გამოიტანა: ჩამოერთვას ლაღიაშვილს ყოველივე ღირსება და ოცის წლის ვადით კატორგაში გაიგზავნოს რექტორის ჩუდეცკის მკვლელობის გამო“.

აი პირველი ნაყოფი იმ დროინდელ პოლიტიკისა. დედა-მიწის ზურგზე ერთ კუთხეს ვერ ნახავთ, სადაც, რეპრესიებით შეხუთულ საზოგადოებაში, მსგზავსი მოვლენა არ მომხდარიყოს და ყველგან და ყოველთვის ამ შეხუთულ ჰაერის მსხვერპლად ახალგაზრდობა ხდება, რომელიც თავის პირდაპირობით და გრძნობიერებით ვერ იწყნარებს შემბორკველ პირობებს. აქაც „Отечественныя записки“-ს და უმნიშვნელო „დღიურის“ გულისათვის ქუჩაში უკრეს თავი 18 წლის ჭაბუკს. შეუკრეს ყოველი გზა ცხოვრებისა და ობლის უსახსროს სასოწარკვეთეს, ჩაადენინეს მკვლელობა და კატორგაში დაჰკარგეს. მკვლელობას არავინ არ ამართლებდა, მკვლელობა თავის თავად საზარელი საქციელია, მაგრამ როდესაც საქმის გარჩევის დროს, სასამართლომ გადუშალა საზოგადოებას საქმის გარემოება, სემინარიაში არსებულ რეჟიმსაც ნათელი მოეფინა, ყველა აღშფოთდა და შეწუხდა. განაჩენის გამოტანის დღეს, დილიდან ღამის 11 საათამდე ქუჩა სასამართლოს წინაშე ხალხით იყო გაჭედილი და ყველანი მოუთმენლად ელოდნენ განაჩენს.

ერთის სიტყვით, პოლიტიკური მკვლელობის მსგზავსი რამ მოხდა ჩვენშიაც. მაგრამ საქმე აქ არ შესდგა. მას მოჰყვა სხვა შედეგიც, კიდევ უფრო სამწუხარო, კიდევ უფრო გულსაკლავი და სავალალო.

ჩუდეცკის დამარხვის დროს, ეგზარხოსმა პავლემ წარმოსთქვა იმგვარი სიტყვა, რომლის დაბეჭდვა ვერ გაბედა გაზეთ „კავკაზმაც“ კი. სიტყვა დაბეჭდა იმ ადგილის გამოკლებით, რომელიც მსმენელთა მოწმობით წარმოთქმული იყო დაკრძალვის დღეს, „ხმა გავარდა, რომ მსმენელნი განცვიფრებულნი იყვნენ ეგზარხოსის ლაპარაკითა. ამბობენ ვითომც ეთქვას: დაიწყევლოს საუდმოდ შენი მკლავიცა და ის ოჯახიცა, რომელმაც შობა იგიო, რომელმაც დაბადა და ის ქვეყანა, რომელმაც გამოზარდა შენი მკვლელიო“.

საზოგადოების აღშფოთება უმაღლეს ხარისხამდე ავიდა. მაგრამ რას იზამ? ვინ არის გამკითხავი და მოსარჩლე? საზოგადოება ხომ უძლურია, შეუკავშირებელი, დაქსაქსული. ვინ იქნება ისეთი, რომ ეგზარხოსის ავტორიტეტს, ძალას და ძლევამოსილობას არ შეუშინდეს და პასუხი მოსთხოვოს ქვეყნის შეურაცყოფისათვის, ვინაიდგან განა იმაზე მეტი შეურაცყოფა იქნება, რომ ქრისტეს მოციქულმა შეაჩვენოს და დასწყევლოს მთელი ქვეყანა ერთი კაცის გულისათვის, რაც გინდ დანაშაული ყოფილიყო ის კაცი? ამ ფაქტის წინაამდეგ ხმის ამოღება ადვილი საქმე არ იყო იმ დროში, როდესაც ამგვარ გაბედულებას არვის აპატიებდენ, რაც გინდ დიდი ხარისხის პატრონი ყოფილიყო ეს გაბედული. ამგვარად, ყველასათვის ამკარა იყო, რომ თუ ვინმე იყო ხმის ამომღები, მას თავიც უნდა გაეწირა; უმსხვერპლოდ მამულის ღირსების დაცვა შეუძლებელი იყო.

დიმიტრი ყიფიანსაც კარგად ესმოდა ეს, მაგრამ მეპყრობილი განრისხებით, მას ერთი სურვილი და ჰქონდა. საჭირო იყო ეგზარხოსის გმობა, საჭირო იყო შეგინებულ ღირსების აღდგენა. ეს აზრი და ეს გრძნობა ბატონობდნენ მის გულში, სადაც იმ დროს არც ერთ ეგოისტიურ, თავის გამოზოგვის ფიქრი არ ეკარებოდა. ძლიერი ნება, მის ბუნებაში ჩანერგილი,—ნება, შემეცნების წრის გადაღმა მყოფი, ისევ ამოძრავდა. და მას წინ ვერა დაუდგებოდა რა.

დიაღ, საკვირველებაა ადამიანი. იგი წყაროა საიდუმლო ძალისა, რომელიც ისე ამოქმედებს, როგორადაც ადამიანი ვერ იმოქმედებდა ცარიელი გონებით რომ ეხელმძღვანელა. ეს ძალა შეუმცნებელი, თითქოს სტიქიური, ძალა, რომელთანაც დანათესავებულნი არიან ნება, ინსტინქტი და ინტუიცია, სასწაულთ მომქმედი ძალაა, რადგან როდესაც იგი ძალა შემეცნების წრეში აღმოჩნდება, ადამიანს ალაპარაკებს და ამოქმედებს ისე, როგორადაც იგი ჩვეულობრივად არ ლაპარაკობს და არ მოქმედებს.

ამ ფსიხიურ თვისებაზე, რომელიც შეადგენს კაცის „მე“-ს, განზრახ ვაქცევ მკითხველის ყურადღებას, რადგან უამისოდ გაუგებარი იქნება ჩვენთვის ის გარემოება, რომ თავადაზნაურსია მარშალმა და „დეისტვიტელნი სტატსკი სოვეტნიკმა“ „მეამბოხეს“ თანამდებობა იდვა თავზედა და მისწერა ეგზარხოსს წერილი ამგვარის შინაარსისა:

ბის განხილვის დროს მთავრობის წარმომადგენელმა განაცხადა: თვითონ მთავრობაც ვერ არის კმაყოფილი იმ გარემოებით, რომ ჯარის სრულ შემადგენლობას 52.000 კაცი აკლია, ამიტომ იგი ახალ პროექტს ამზადებს ნაკლის შესავსებადათ. მეორედ წაკითხვის შემდეგ საავიაციო კანონ-პროექტი მიიღეს. სამხედრო უწყების სტატ-სეკრეტარმა განაცხადა: ეს კანონი, ცხადია, არავის წინააღმდეგ არ არის მიმართული, რადგან მას მიზნად აქვს ფრენის აკრძალვა ისეთ ადგილებში, სადაც ასაფეთქებელი მასალა ინახება.

**მექსიკო.** (ამერიკა) ფელიქს დიასმა ხელთ იგდო პრეზიდენტის უფლება და მადერო რესპუბლიკის მტრად გამოაცხადა.

**ბერლინი.** რეიხსტაგში მთავრობის წარმომადგენელმა შეკითხვაზე განაცხადა, რომ ჩინეთის რესპუბლიკის მართვა-გამგეობის რეორგანიზაციისთვის ალებულ 25 მილ. სესხის ხელ-შეკრულება უკვე დადასტურებულია. ჩინეთის მთავრობა დასთანხმდა სამ საფინანსო მრჩევლის—დანელისა, იტალიელისა და გერმანელის დანიშვნას. ზოგიერთ სახელმწიფოს წარმომადგენელმა პროტესტი განაცხადა, რომ ნამდვილი მოვალეები ამ თანამდებობის გარეშე დარჩნენ, ამიტომ დაინტერესებულ სახელმწიფოებს შორის ახალი მოლაპარაკება სწარმოებსო.

**მექსიკო.** მდგომარეობა გამოურკვეველია. ბანკები და სავაჭროები დაკეტილია, ტრამვაის მოძრაობაც შესწყდა. მადერო სასახლეში მივიდა და მინისტრებს ეთათბირა. სასახლეს ჯარის-კაცები იცავენ. დიაცმა განაცხადა, თავდასხმა არ განმიზრახავს, მხოლოდ მთავრობის ჯარის მოქმედების შედეგს ვუცდიო.

**ჩარლსტონი** (დასავლეთ ვირგინიაში). გაფიცულ მენახშირეთა და დარაჯთა შეტაკების დროს მოკლულია 7 მუშა და 3 დარაჯი, დაიჭრა 20.

**ტოკიო.** კაცურას სამინისტრო გადადგა. მის ადგილს ასახელებენ მაცუკატუს, რომელსაც იმედი აქვს კონსტიტუციონალისტებისა და ნაციონალისტების დახმარებისა. აკრძალეს იმ გაზეთების გაყიდვა, რომელნიც გუშინდელ არეულობას ეხებოდნენ. დღეს მყუდროება აღარ დარღვეულა.

**ტოკიო.** პარლამენტის შესავალ კარის დაკეტვამ დეპუტატებსა და საზოგადოებაში სასტიკი უკმაყოფილება გამოიწვია. პარლამენტის ახლოს მოხდა პოლიციასთან შეტაკება. როდესაც პარლამენტის სხდომა მესამედ შესწყდა, მღელვარე ბრბომ დაიწყო იმ რედაქციების აკლება, რომელნიც კაცურას მხარს უჭერდნენ. განსაკუთრებით დიდი შეტაკება მოხდა „კოკუ-მინ-სიმბუნის“ რედაქციაში, სადაც ერთი მოჰკლეს და 14 დასჭრეს. შემდეგ დაიწყო საპოლიციო სადგომების ნგრევა. მთავრობის დაწესებულებათა, რედაქციებისა და კაცურას სადგომების დასაცავად ჯარი გამოიწვიეს. ქალაქში ბევრია დაჭრილი და მოკლული.

**პარიზი.** დეპუტატთა პალატაში, ზღვათა სამინისტროს ხარჯთა-აღრიცხვის განხილვის დროს, მინისტრმა ბოდენმა განაცხადა, რომ 1917 წლის საზღვაო პროგრამა რამდენადმე უპირატესობას მისცემს საფრანგეთს ხმელთაშუა ზღვაზე ავსტრია-იტალიის შეერთებულ ფლოტთან შედარებით; ამ უპირატესობის განმტკიცების მიზნით განზრახული პროგრამაც ცვლილებას განიცდის ხოლმეო.

### რ უ ს ე თ ი.

**პეტერბურგი.** ქალაქის საკრედიტო საზოგადოებათა წარმომადგენლების კრება დაიწყო. მის პროგრამაში შემდეგი საკითხებია: იპოტეკის შემოღება მთელს რუსეთში, ხუთ-თუმნიანი ობლიგაციების გამოცემა და ცენტრალურ ბანკის დაარსება.

**პეტერბურგი.** გამოირკვა, რომ სხვა-და-სხვა უწყების საფინანსო ხარჯთ-აღრიცხვის მოხსენებანი 1 მარტამდე დასრულდება. ხარჯთ-აღრიცხვის განხილვა სახელმწიფო სათათბიროში შეიძლება მარტის გასულს დაიწყოს.

**ჰელსინგფორსი.** ნიულანდის გუბერნატორმა ათას-ათასი მარკით დააჯარიმა რამდენიმე სტამბა, რომელთაც არ აასრულეს მთავრობის მოწერილობა და მათ მიერ დაბეჭდილ წიგნების რამდენიმე ცალი არ წარუდგინეს ბეჭდვითი სიტყვის მთავარ სამმართველოს. თუ მოწერილობას 7 დღის განმავლობაში არ შეასრულებენ, გუბერნატორი 2000 მარკამდე გაადიდებს ჯარიმას.

**მოსკოვი.** მექარხნეთა საზოგადოებამ ჯუნკოვსკის სახელობაზე ხუთი სტიპენდია დაარსა კომერციულ მეცნიერებათა პრაქტიკული აკადემიაში და ერთი საწოლიც ივერიის მოწყალე დების საზოგადოებაში, ხოლო ვაჭრებმა ორი სტიპენდია. ჯუნკოვსკის სხვა-და-სხვა საზოგადოების წარმომადგენლები გამოეთხოვნენ, მიართვეს ადრესები და ხატები.

**პეტერბურგი.** სახელმწ. სათათბიროს სამხედრო საქმეთა კომისიამ გარეშეთა დაუსწრებლად დაიწყო განხილვა სახელმწიფოს თავდაცვის გასაუმჯობესებლად ხარჯთაღრიცხვის კანონ-პროექტისა.

**რიგა.** რომანოვების საგვარეულოს 300 წლის შესრულების აღსანიშნავად, ლიფლიანდიის აზნაურობამ 80.000 მან. გადასდვა სოფლის მუშათა თავშესაფარისათვის და შუამდგომლობს, რომ ამ ფონდს რომანოვების სახელი ეწოდოს.

## უცხოეთი

### სამინისტროს კრიზისი ჰუნგრეთში.

ავსტრიის პრესა იუწყება, რომ ლუკაჩის სამინისტროს დღენი დათვლილია. თვით კაბინეთში განხეთქილებამ იჩინა თავი, მთავრობის პარტიაშიაც უთანხმოებაა, პარლამენტს ოპოზიცია ბოიკოტს უცხადებს, ხალხში უკმაყოფილება დღითი-დღე იზრდებოდა. ყველა ეს სამინისტროსთვის გაჭირვებულ მდგომარეობასა ჰქმნის და კაბინეტის გადადგომას ემუქრება. გადადგომას აპირებენ ფინანსთა მინისტრი ტელესკი, რომელიც არ ეთანხმება სამხედრო უწყების ახალ-ახალ მოთხოვნილებებს და კროაციის საქმეთა მინისტრი იოსიპოვიჩი. „საეროვნო მუშაობის“ პარტია შეიძლება გაიყოს ორ ლიბერალთა და კონსერვატორთა ფრაქციად. კაბინეტის პრესტიჟი დასცა საარჩევნო პროექტმა. პროექტის წინააღმდეგ გაილაშქრეს ისეთმა ზომიერებმაც კი, როგორც მექარხნე მრეწველნი არიან. ასეთ სახიფათო დროს უოპოზიციობა პარლამენტში საგონებელში აგდებს არამც თუ მთავრობის პარტიას, არამედ უმაღლეს წრეებსაც. ოპოზიცია მოითხოვს ლუკაჩის და ტისას თანამდებობიდან გადადგომას. ხალხშიაც დიდი უკმაყოფილებაა: ჩაგრულ ერთა მოძრაობა, სოციალ დემოკრატების საყოველთაო გაფიცვით მუქარა, სხვა და სხვა პარტიის გაძლიერება და სხვ. ლუკაჩის მოადგილედ ასახელებენ კუნხუედვერარს ვეკერლეს, ლანგას და სხვებს. ზემოდ მოყვანილი სახელები გვიჩვენებენ, რომ თუ ვინიცობაა კაბინეტის გადადგომა მოხდა, მიმართულება არსებითად არ შეიცვლება და ჰუნგრეთის მთავრობის პოლიტიკაში ახალი ძალა არ შეიჭრება.

## რუსეთი

### ხვოსტოვის საქმე.

იუსტიციის მინისტრის განკარგულებით მოსკოვის სამოსამართლო პალატის წევრი მალხევი ნიჟნი-ნოვგოროდში წავიდა, არჩევნების დროს ხვოსტოვის მოქმედების გამოსაძიებლად. ჩვენების ჩამორთმევამ ღამის 10 საათამდე გასტანა. პირველად ჩვენება ჩამოართვა ნადეპუტატარ ხვოშჩინსკის. ხვოშჩინსკის ჩვენების ჩამორთმევა სამ საათს გაგრძელდა. შემდეგ ჩვენება მისცეს მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლებმა ზვენიგოროდსკიმ და პრიკლონსკიმ. უკანასკნელად ჩვენება ჩამოართვეს ნაფ. ვექ. მოისეევს. მოწმეთა სიტყვით, გამოძიება ენერგიულად, გულმოდგინედ და მიუკერძოვებლად სწარმოებს.

## თეატრი და ხელოვნება

**ქართული თეატრი.** მოვაგონებთ ჩვენს საზოგადოებას, რომ დღეს, 31 იანვარს, ქართული დრამატიული დასი ქ-ნ **ტასო აბაშიძის საბენეფისოდ** წარმოადგენს ბერნარდ შოუს 5 მოქმ. დრამას „კეისარი და კლეოპატრა“-ს. პიესა ვალ. შალიკაშვილის ნათარგმნია. კლეოპატრას როლს მობენეფისე შეასრულებს. მონაწილეობენ საუკეთესო ძალები. საგანგებოდ ამ პიესისათვის ახალი ტანისამოსები შეუკერიად. რეჟისსორობს ბ-ნი ვ. შალიკაშვილი.

**რედაქტორ-გამომცემელი ა. ჭუმბაძე.**

---

თქვენო მეუფებავ!

მიიღეთ ჩემზე მწყემსი-მთავრული მოწყალეობა და, თუ გატაცებული დაუჯერებელის ხმებით, ვცოდავ, შემინდეთ ჩემი დიდი შეცდომა. მაგრამ ამბობენ, რომ თქვენ დასწყევლეთ ის ქვეყანა, რომელშიაც საწმყოთ ხართ მოწოდებული და რომელიც მარტო სიყვარულსა და შეწყალებას მოელოდა თქვენგან, ქრისტეს მსახურისა და წარმომადგენლისაგან.—იგივე ხმები არ კმაყოფილდებიან თქვენი ღირსების შეურაცყოფით, იმასაც ამბობენ, ვითომ თქვენ განზრახვა გქონდეთ ბოდიში მოიხადოთ სამწყოს წინაშე იმ უცოდველის სიტყვების გამო, რომელნიც ვითომ წარმოსთქვით.—თუ ყოველივე ეს, მეუფევ, მართალია, თქვენი თანამდებობის ღირსების გადარჩენა მხოლოდ იმითი შეიძლება, რომ შემრაცყოფელი ადამიანი შეურაცყოფილ ქვეყნიდან დაუყონებლივ იქმნას გასული. ამას მოგახსენებთ წრფელის გულით თქვენი სამწყოისა ერთი წევრი, რომელსაც უნდა თავიდამ აიცილოს ქვეყანას ახალი დიდი შეცოდება.

თქვენი მეუფეობის მორჩილი მსახური დიმიტრი ყიფიანი.

8 ივნისს 1886 წელს, სადგური მიხაილოვო.

როგორც გინდათ დააფასეთ და გასინჯეთ ეს წერილი. პირადად მე ამ წერილში ერთ იმ ისტორიულ დოკუმენტთაგანს ვხედავ, სადაც ძველს დროში, ისე მჭერმეტყველურად, ასე სადად, გამარჯვებულად აღიბეჭდებოდა ხოლმე სამშობლოს ახელის, პატივის და ღირსების დამსცველთა გმირთა სიტყვები. ეს დოკუმენტი გმირულ საუკუნისა თითქოს შეცდომით აღმოჩნდა მე-XIX საუკუნეში, სადაც ყოველივე გაზომილია, აწონ-დაწონილი, ზომიერი, ქედმოხრილი და მორჩილია. „თქვენი თანამდებობის ღირსების გადარჩენაო მხოლოდ იმითი და შეიძლება, რომ შემრაცყოფელი ადამიანი შეურაცყოფილ ქვეყნიდან იქმნას გასულიო“ ქართველ თავად-აზნაურთა წინამძღოლი მე-XIX საუკუნის მეორე ნახევარში უთვლის ამ ბრძანებას საქართველოს ეგზარხოსს. და დიმიტრი ყიფიანი, როდესაც ამ სიტყვებს ამბობდა, იქნებ შეუმცნობლადაც ეზიარებოდა სულით ძველ გმირებს. მის ნების-ყოფის და წარსულის შორის სწრაფად გაიბა საიდუმლო კავშირი. შეწყვეტილი ძაფები გამთელდნენ, საუკუნოებით შეჩერებული ამბები ერთმანეთს გადაებმენ, ისტორიული წარსული თავის კულტურით გამომთელდა და გამომთელებული დაუკავშირდა აწმყოს, აწმყოში მყოფ ერთ ადამიანის ნების-ყოფას. და თითქოს აღსრულდა ამ სახით საიდუმლოება ერის განუყოფელობისა და უკვდავებისა! ეგზარხოსმა პავლემ მეორე დღესვე მისცა პასუხი დიმიტრი ყიფიანს.

მოწყალეო ხელმწიფევ, დიმიტრი ივანეს ძევ!

თქვენი აღმატებულებისაგან ჩემდამი 8 ამა ივნისს მოწერილ უცნაურ წერილის გამო საჭიროდ ვრაცხ მოგახსენოთ, რომ ჩემი სიტყვა, წარმოთქმულ დეკანოზი ჩუდეცკის გასვენების დროს, დაბეჭდილია გაზ. „კავკაზში“ № 199. რაც შეეხება უგუნურ ხმებს, რომლებსაც თქვენს წერილში იხსენიებთ, ჩემ ღირსების დამამცირებლად მიმაჩნია მოგახსენოთ რაიმე განმარტება.

თქვენი აღმატებულების მორჩილი მსახური, პავლე არქიეპისკოპოსი საქართველოს ეგზარხოსი. 9 ივნისს 1886 წელს.

მაგრამ ეს წერილი გარეგნული ფორმა იყო, [illegible]

(დასასრული იქნება)

**არჩილ ჯორჯაძე.**

---


## განცხადებანი

დ. ზუბალაშვილი

**ექიმი** კბილისა ბაბილინა ცხადაძე

იღებს ავადმყოფებს დილით 9—3 ს. საღამოთი 5—7 ს. ასათიანის სახლში, საყდართან. 19

**ექიმ ნავასარდიანის პირველი კერძო სამკურნალო**

დაარსებულია 1880 წელს.

(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

ავადმყოფების მიღება ყოველ დღე გარდა კვირისა.

დ ი ლ ი თ:

„606“ და „914“

11—12 ს. შეშხაპუნება

კონსულტაციურად.

ა. ნავასარდიანი: 11—12 ს. ქირურგიული, და ვენერიული (სიფილ.) ავად.

ბ. გ. ბუბასაროვი: 1—2 ს. ბავშვთა შინაგანი ავადმყ.

კ. მ. ჩიქოვანი: $9^{1}/_{2}$—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

შ. ი. ბაბანასოვი: 10—11 ს. საბებიო. ქალებისა და ბავშვებისა.

ნ. ტ. მულინი: 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელ.ისა.

მ. გ. ბუნტიხიანცი: 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.

ა. პ. კარაპეტიანცი: 12—1 ს. შინ. კანი საბავშვო და ყვავილის აცრა.

ექიმი ქალი ე. ნ. ამბრუმოვა-მელ ქიანი —2 ს. საბებიო და ქალების ავადმ.

ს ა ღ ა მ ო თ ი:

მ. გ. ბუნტიხიანცი: 6—7 საათ.

ექიმი ქალი გ. ლ. რენიგერ-არეშევისა 6—7 ს.

რჩევა-დარიგება 50 კაპ. ხელმოკლეთა ვის უფასოდ. კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.

სამკურნალოს დირექტორი მედიცინის დოქტორი ა. ა. ნავასარდიანი. 1004

**ფეხსაცმელები**

თომა დ. ჯანყარაშვილის მაღაზია-სახელოსნოში.

მუხრანის ქ. № 2.

ყოველ ნაირი: საკუთარი და პეტერბ.



მეხანიკური ნაწარმოები. 30.

---

მუხრანის კერძო

**სამკურნალო**

საწოლი კრაოტებით.

19 თებერვლის ქუჩა, იგივე რიყე, № 48, ახალ მუხრ. ხიდის პირდაპირ, ტელეფ. № 378.

დასაწოლად ავადმყოფნი მიიღებიან ყოველ დროს, ხოლო გასასინჯად ფეხზე მოსიარულე ავადმყოფნი მიიღებიან დანიშნულ დროზე შემდეგ ექიმების მიერ:

| | ექიმების მიერ: | დილით: | |
|---|---|---|---|
| შინაგანი სნეულებანი, ბავშვთა და მოზრდილთ. | სპექტიორი გ. მ. | $8^{1}/_{2}$—$9^{1}/_{2}$ | ს. |
| | გაზაზოვი ა. ა. | 10—11 | ს. |
| | იაშვილი ა. ლ. | 11—12 | ს. |
| | აბაკელია ი. ქ. | 12—1 | ს. |
| | ლოლოზერიძე გ. მ. | $12^{1}/_{2}$—$1^{1}/_{2}$ | ს. |
| სადოსტაქრო სნეულებანი: | გრიგორიანი ა. ი. | 11—12 | ს. |
| | მელკონიანი მ. ა. | 12—1 | ს. |
| | ჯაში ი. ი. | $9^{1}/_{2}$—$10^{1}/_{2}$ | ს. |
| საშარდე და ვენერიულ. სნეულებ. | გრიგორიანი ა. ი. | 11—12 | ს. |
| სნეულებ. საშვილოსნო და ბებიობა. | ექიმი-ქალი საყვარელიძე დ. გ. | 11—12 | ს. |
| | ლოლოზერიძე | $12^{1}/_{2}$—$1^{1}/_{2}$ | ს. |
| სნეულებ. ყურის, ყელის და ცხვ. | შტრეიხერი მ. ა. | 12 $12^{1}/_{2}$ | ს. |
| თვალის სნეულებ. | შაპელნიკოვი გ. ი. | $1^{1}/_{2}$—$2^{1}/_{2}$ | ს. |

ფასი გასინჯვისა 50 კ. საწოლი კრაოტი 3 მან. დღეში, ცალკე ოთახი 5 მან. ოპერაციები მორიგებით. შეშხაპუნება წამლებისა „606“ და „914“, ყვავილის აცრა, ელექტრონით წამლობა, ძიძის გასინჯვა, დაზელა (მასაჟი), მოწმობის შედგენა [illegible] 1581

---

ვ. ლისიციანისა და ამხ. გამსესხებელი განყოფილება

**გ ა დ ა ვ ი დ ა**

საკუთარ სახლში, ლორისმელიქოვის ქუჩაზე № 8, მუზეუმის მისახვევის კუთხეში, (ტელეფ. № 770). განყოფილების კლიენტებს ამით ეუწყებათ, რომ აპერაციების გაფართოვების გამო 18 იანვრიდან სამუშაო საათები მოვუმატეთ ე. ი. სესხის გაცემა და დაგირავებულ ნივთების დახსნა იწარმოებს დილის $9^{1}/_{2}$ $1^{1}/_{2}$ საათ მდე; სხვა აპერაციები კი ნაშუადღევ საათამდე. 54.

მიიღეთ საუკეთესო გემოს მარცვლოვანი, ქვირითის (კეტოვ.) ხიზილალა, თევზის მრეწველნი

**ძმ. ძებველოვები.**

გამოსული ქერჩის სელიოტკები, და ყოველგვარი **კონსერვები.**

მოგვდის მუდამ დღე საკუთარი სამრეწველოდან ახალი თევზი, ხიზილალა, (ქიტკა), ორაგული, თარ ი, ტარაღანა, ლოქო და სხვა. და აგრეთვე ყოველ დროს იყიდება მაღაზიაში მოხარშული დოში, ზურგიელი, და ყოველგვარი შავი ხიზილალა

პუშკინის ქ., საკუთარი ს. № 9. ტელეფონი № 712. 1131

სავაჭრო და მრეწველობის სამინისტროს უწყებაში მყოფი

**ნ. ვ. აბრაჟიანის საბუღალტრო კურსები**

(არსებობს 1895 წ.)

ავტორი „ბუღჰალტერიის სახელმძღვანელოსი“, რომელიც მოწონებულია ვაჭრ. და მრეწ. სამინისტროს მიერ.

ორივე სქესისათვის **კურსი 4 თვისაა** ყოველ-დღიური მეცადინეობი..

სწავლა იწყება 15 იანვრიდან, 1913 წ. კურსებზე ასწავლიან ბუღჰალტერიისა დ სხვა სავაჭრო ცოდნათა საგნებს მრეწველობის სხვა დ სხვა დარგიდან, ძაზუთისა დ ნავთის მრეწველობაზე—ყოველნაირ წესით. დახელოვნება ორმაგ იტალიურ სისტემაში. კომერც. არითმეტიკა, კომერც. მიწერ-მოწერა, სავაჭრო უფლება, საექსილო წესდება, პოლიტიკური ეკონომია, არითმეტიკა ჩოთქზე, ლამაზი წერა, ხელის გასწორება, მსურველთათვის **უცხო ენები**, სტენოგრაფია დ რემინგტონი. **მასწავლებელნი**—სპეციალისტნი უმაღლეს სწავლით, პრაქტიკულად და თეორეტიულად ყოველ ცალკე საგანში მომზადებულნი. **ატესტატები** სამინისტროს ნებართვით. პროგრამები და წესები უფასოდ ეძლევათ. თხოვნები მიიღება ყოველ-დღე 9—11 საათამდე და 5—7 საათამდე.

ნაკლებ მომზადებულთათვის კურსებთან არსებობს მოსამზადებელი განყოფილება რუსულ ენისა და ანგარიშისა.

წერილობით და პირადად მიჰმართეთ კურსების დამაარსებელს: ნიკოლოზის ქ., 22, საკუთ. სახლი. ტელეფ. № 744. (თ. 1644. 9)

**კახეთის რკინის გზის გამყვანი გამგეობა**

აცხადებს, რომ ამ გზისათვის საჭირო ყველა სამოქალაქო შენობების

აგება **იჯარით გაიცემა**

**I. შენობები ყოველგვარ მოწყობილობითა და ავეჯით:**

ა) 52 მოსამსახურეთა ბინა, რომელთა საერთო ზომა შიგნით უნდა უდრიდეს 301,6 ოთხკუთხ საჟენს.

ბ) 10 ნახევარ-ყაზარმა, რომელთა საერთო ზომა შიგნით უნდა უდრიდეს 221,2 ოთხკუთხ საჟ.

გ) 9 ყაზარმა, რომელთა შიგნითი ზომა საერთოდ უნდა უდრიდეს 301,03 ოთხკუთხ საჟ.

**II. სადგურის თითო-სართულიანი შენობები:**

ა) მგზავრთა სადგურები, რომელთა შიგნითი ზომა საერთოდ უნდა უდრიდეს 250 ოთხკუთხ საჟ.

ბ) საბინადრო შენობები—905 ოთხკ. საჟ.

გ) წყლის ცალფა საავზე შენობები, რომელშიაც უნდა ჩაეტიოს წყალი 10 კუბ. საჟ. 1 ცალი; ორფა საავზე შენობები, რომელშიაც უნდა ეტეოდეს 2/10 კუბ. საჟ.—1 ცალი და ცალფა საავზე შენობები, რომელიც უნდა იტევდეს 8 კუბ. საჟ. წყალს—2 ცალი.

დ) წყლის ასაზიდი შენობები, საბინადრო გამართულ შენობებითა 2 ცალი, რომელთა საერთო ზომა შიგნით უნდა უდრიდეს 35 ოთხკ. საჟ.

ამ სამუშაოთა იჯარით გაცემა შეიძლება ერთს პირზე, ან ნაწილ-ნაწილ, მოცილეთა არჩევით და რკინის გზის გამგეობის განაწილებით.

**სამუშაოები უნდა დასრულდეს შემდეგ ვადებზე:**

ა) სადგურ ნავთლუღიდან დაწყებული მე-44 ვერსამდე, ქვითკირის შენობები უნდა მოთავდეს 1913 წ. ოქტომბერს, სედურგლო საქმე, სასტალარო და გადახურვისა—1914 წ. 1 იანვარს, საბოლოოდ დასრულება და ჩაბარება 1914 წ. 1 ივნისს.

ბ) მე-44 ვერსიდან მე-91 ვერსამდე—ზემოხსენებული პირველი დარგი 1913 წ. 1 ნოემბერს, მეორე 1913 წ. 1 თებერვალს, მესამე—1914 წ. 1 ივნისს.

გ) მე-91 ვერსიდან 108 ვერსამდენაც იმავე ვადაზე.

დ) 108 ვერსიდან თელავის სადგურამდე და გურჯაანის სადგურიდან წნორის წყლის სადგურამდე: პირველი დარგისა 1914 წ. 1 იანვარს, მეორე—1 აპრილს, მესამე—1 ივლისს.

როდესაც გამგეობა მოცილეთა შორის არჩევანს მოახდენს და ამას გამოაცხადებს, მოიჯარადრენი მოვალენი არიან 15 დღეში წარმოადგინონ ძირითადი სათავდებო თანხა (ზე), მთელი იჯარის ღირებულების 5%, რომელიც მერე თანდათან შეივსება 10% დაჭერით იმ თანხიდან, რომელიც შესრულებულ სამუშაოში ერგებათ, რათა შესდგეს 1/3 დარჩენილ სამუშაოს ღირებულებისა; ამას მერე კი, თანდათანვე უბრუნდებათ დამატებითი სათავდებო თანხა.

შეცილების შედეგი და პირობის წერილთა პროექტები უნდა დაადასტუროს საზოგადოების გამგეობამ.

ფასები უნდა ჩამოსწერონ განსაკუთრებულ ბლანკებზე, რომელსაც გამგეობის სატეხნიკო განყოფილება მისცემს.

გეგმები შენობებისა, ტეხნიკური საზოგადო პირობები, და აგრეთვე სამოქალაქო შენობათა ცნობანი შეიძლება გამგეობის ტეხნიკურმა განყოფილებამ განიხილოს:

1) ამ წლის 28 იანვრიდან—გზის შენობებისა, საბინადრო სახლებისა და სამგზავრო შენობებისა, გურჯაანის სამგზავრო სადგურის გარდა.

2) სამგზავრო სადგური გურჯაანისა და აგრეთვე წყლის საავზე და წყლის ასაზიდი შენობებისა—ამ წლის 5 თებერვლიდან.

ფასებ აღნიშნული ფურცლები უნდა წარედგინოს, ან ფოსტით გამოეგზავნოს, **გამგეობას (ტფილისი, ელისაბედის ქუჩა № 73).** დაბეჭდილ კონვერტით არა უგვიანეს ამ წლის **2 თებერ.**, შუადღის 12 საათისა, ზედწარწერით: **„სამოქალაქო შენობათა მოცილეობისათვის“.** 1037